


ეროვნული ბიბლიოთეკა
645/1988/2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
(«ЖЕНЩИНА ГРУЗИИ»)

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии

მთავარი რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

Главный редактор МАРИКА БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია:

ნელი გურგენიძე, ნონა გაფრინდაშვილი, ზინაიდა კვაჭაძე, ლია კაკაბაძე (პასუხისმგებელი მდივანი), ნაზი კილასონია, თამარ ლაშქარაშვილი, ქეთევან ლომთათიძე, ნინო ჟვანია, პეტრე ჟღენტი, ცინარა ტერელაძე (მხატვრული რედაქტორი), ნადია შალუტაშვილი, ლუგა შეჭირული, ნინო ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ნანული გუკია

გარეკანის პირველ გვერდზე — გალის რაიონის სოფელ ზემო ბარღების ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი მიმოზა გუთბაია; მეოთხეზე — იალალი. დ. იაკობაშვილის ფოტოები.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина 14.
Адрес редакции: 380096, Тбилиси, Ленина 14.

## სკკპ XIX კონფერენციის დელეგატი

# სოფლის რჩეული

ზემო ბარღები გალის რაიონში ერთ-ერთი ყველაზე უფრო სახელგანთქმული, გამრჯე და შეძლებული სოფელია. კოლხეთის ნაქაობარ ველზე გაშლილი ზემო ბარღები ახლა ნამდვილ წალკოტს მოჰგავს. გულს გაგიხარებთ მისი ლამაზი ცენტრი, მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობის კარგად მოვლილი ყანა-პლანტაციები.

სოფელი უპირველესად გამრჯე ადამიანებითაა ცნობილი. საკოლმეურნეო მშენებლობის გარიჟრაჟიდან დღემდე მრავალმა ზემობარღელმა გაითქვა სახელი ჩაის ფოთლის კრეფით, სიმინდის მოყვანით, აბრეშუმის პარკის დამზადებით...

სახელოვანი ადამიანები მრავლად ჰყავს სოფელს. ისინი გარდაქმნის ავანგარდში დგანან, დიდ ფხასა და წინდახედულებას იჩენენ მეურნეობრიობის ახალი ფორმების დანერგვაში, გრძნობენ, რომ ახლებურად მუშაობა ჰაერივით საჭიროა.

თითქოს ძნელი უნდა იყოს სოფლის რჩეულის გამოყოფა, ამდენ შესანიშნავ მშრომელს შორის უკეთესის დასახელება, მაგრამ...

მეურნეობის დირექტორს შოთა დარსანიას რომ ჰკითხოთ, თუ ვინაა კოლექტივში ყველაზე გამრჯე, ყოველმხრივ მისაბაძი მშრომელი, უყოყმანოდ იამზე შამუგიას დაგისახელებთ.

თუ მეურნეობის პარტკომის მდივანს თამაზ შამუგიას შეეკითხებით,



სკკპ მე19 კონფერენციის დელეგატი იამზე შამუგია



მეურნეობის დირექტორი შოთა დარსამია და მთავარი აგრონომი გიორგი ტურაგა



უგანრიგო რგოლის წევრები

რომელი კომუნისტი უდგას მხარში ნაღდი სიტყვითაც და საქმითაც, იამზე შამუგიაო, — ისიც ამგვარად იტყვის.

აი, თუნდაც სოფლის საბჭოში შევიაროთ და სოფლის რჩეულებზე სიტყვა ჩამოვაგდოთ. სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შაქრო წურწუმია იამზეზე საუბარს ასე დაიწყებს: რა ქალია, რა ქალი!..

ქების სიტყვებს ან ვინ დაიშურებს იამზე შამუგიასათვის!

ახლა მოდით, თვითონ იამზე ვნახოთ.

მოღრუბლული დღეა, თითქოს ცივა კიდეც.

— გრილმა გაზაფხულმა ჩაის ვეგეტაცია შეაფერხა. განსაკუთრებით ხელით საკრეფი აპარატებით მომუშავეებს გაუჭირდათ, — გვეუბნება საწარმოო ბრიგადის ხელმძღვანელი ანზორ ბასლანიძე. — ასეთ დროს ხარისხზე ზრუნვას განსაკუთრებული ნებისყოფა სჭირდება. ზოგმა ძველებურად კრეფაც ცადა, მაგრამ იამზემ თავისი მაგალითით ყველას დაანახა, თუ როგორ უნდა მუშაობა...

მწვანედ ხასხასებს „ფერზე მოსული“ ჩაის ბუჩქები. ზუზუნებს ხელით საკრეფი აპარატები — ჩვენში „მცირე მექანიზაციას“ რომ ეძახიან. მუშაობით ისე არიან გართულნი იამზე და მისი უგანრიგო რგოლის წევრები, რომ თავს შეუმჩნევლად წავადექით.

რგოლში მის ხელმძღვანელთან ერთად ოთხი მეჩაიეა გაერთიანებული. ორი ქალი და ორი კაცი თვალისჩინივით უვლიან მათზე გაპიროვნებულ ოთხ ჰექტარ პლანტაციას. იამზე ხომ უთენია გადიოდა საზამთრო თუ საგაზაფხულო სამუშაოებზე, დანარჩენებიც ასე იყვნენ. აბა, ზარმაცსა და ჩრდილისკენ მაცქერალს რა გააჩერებს იამზეს გვერდით.

ვუკვირდები ამ პატარა ქალის ნაჯაფარ ხელებს, ვუსმენ მის საუბარს და ვრწმუნდები, რომ მისთვის მთავარი საერთო საქმეა, ქართველ მეჩაიეთა საერთო საზრუნავი.

— მაშინ, როცა სხვებს დანები ეკავათ, წუთითაც არ მიცდია ხარისხის საზარალოდ ბევრი ჩაის მოკრეფა, — გვეუბნება იამზე და იმის კმაყოფილებას გამოთქვამს, რომ წლეულს რეალური გზები დაისახა ქართული ჩაის სახელის აღსადგენად.

ნიავს ბარლების ჩაის ფაბრიკიდან დაღნობილი ჩაის საამო სურნელი მოაქვს.

— ჩვენს ჩაის ისეთი არომატი უნდა დავუბრუნოთ, — ამბ:ბს



18793
საქ. სსრ კ. მარქსის

ეროვნული ბიბლიოთეკა

იამზე, — ისე უნდა გავაკეთოთ, რომ ჭიქა ჩაის დალევა კაცისათვის ზეიმი იყოს.

ამისთვის არიან მოწადინებული იამზეს რგოლის წევრებიც — ქეთო სურგულაძე, მიხეილ არონია და ლერი კოკაია.

რგოლმა წლეულს 26 ტონა მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი უნდა მოკრიფოს. შარშან 37 ტონა მოკრიფეს, მაგრამ წლევანდელი წელი ხომ განსაკუთრებულად საპასუხისმგებლოა: „უმჯობესია ცოტა და კარგი".

— ჯერ ხარისხი, ბატონო, გეგმას კი როგორ გადავაჭარბებთ, ეს შემოდგომაზე ვნახოთ, — ამბობს იამზე.

უკვე სამი ათეული წელია, რაც ჩაის პლანტაციებში ტრიალებს იამზე. რაიონის მთიან სოფელში დაიბადა და გაიზარდა, მერე არონიების ქალიშვილი ზემო ბარღებში გათხოვდა, შამუგიების რძალი გახდა და ახლა მისით რეჩხიც ამაყობს, ზემო ბარღებიც და მთელი რაიონიც.

იამზეს გარჯა ღირსეულადაა დაფასებული. იგი შრომის წითელი დროშისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენების კავალერია. ამ რამდენიმე წლის წინათ შრომაში მოპოვებული წარმატებებისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

გამრჯე კომუნისტი ქალი პარტიის გალის რაიკომის წევრია. არჩეული იყო საქართველოს კპ XXVII ყრილობის, შემდეგ — სკკპ XXVII ყრილობის დელეგატად.

მეურნეობის პარტიულ კრებაზე იამზე შამუგია XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის დელეგატობის კანდიდატად დაასახელეს, გაემგზავრა მოსკოვში და მონაწილეობა მიიღო ამ დიდი ფორუმის მუშაობაში.

ისიც არ დაგვავიწყდეს, რომ იამზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. და საქმით უპასუხებს ამომრჩეველთა მოთხოვნებს, გულთან ახლოს მიაქვს მათი სატკივარი, შემდეგ კი ზემდგომ ინსტანციებს მოურიდებლად მიმართავს ხოლმე მშრომელთა მიერ წამოყენებული საკითხების მოსაგვარებლად.

პირად ცხოვრებაში საოცრად თავმდაბალი და მორიდებულია. არა რაიმე პრეტენზიებით, არამედ მუხლჩაუხრელი შრომით მოიპოვა სახელი ამ დიდებულმა ქართველმა ქალმა.

**ჯემალ შონია,**

გალის რაიონული გაზეთ „ლენინელის" პასუხისმგებელი მდივანი.



ნინო კურდღელაშვილი, თამარ ფედორენკო და ლელა ბაციკაძე საქსოვ საამქროში

# ბამბეული თავს იწონებს

ორმოცი წლის წინათ წამოიმართა გორის ბამბეულის ფაბრიკის კონტურები. 1951 წელს მწყობრში ჩადგა მისი პირველი ხაზი. აქედან მოყოლებული ფაბრიკა გაიზარდა, გამსხვილდა და დიდ გაერთიანებად იქცა. დღეს კი მისი სათაო გაერთიანება ათ ფაბრიკას ითვლის. ესენია ორი სართავი და ორი საქსოვი, სამღებრო-გამომყვანი და სამკერვალო ფაბრიკები გორში, საქსოვი ფაბრიკები ატენში, ბორითში, ახალციხეში და მეათე, რომელიც ყველაზე ახალბედაა და ეს-ესაა არსებობას იწყებს, ვანის სამკერვალო ფაბრიკა.

მათ მიერ გამოშვებული პროდუქცია ყოველწლიურად მილიონობით მეტრი ქსოვილითა და ასეულობით ტონა ნართით განისაზღვრება.

უწყვეტ ნაკადად მოდის ყირგიზული და ყაზახური, უზბეკური და ტაჯიკური ბამბა. პირველად ის საბერტყ-საჩეჩი მანქანის კბილებში ექცევა და აქედან იწყება ბოჭკოთა მოგზაურობა საამქროდან საამქროში, ერთი ფაბრიკიდან — მეორეში. ასე იქსოვება „ვარაზი" და „მზიური", „ეგრისი" თუ „დარიალი", „პიკე" და „ფლანელი"... და ბოლოს ყველაზე მკაცრი და პირუთვნელი მსაჯულის, ჩვენი მაღალგემოვნებიანი და მომთხოვნი მომხმარებლის სამსჯავროზე აღმოჩნდება. აღმოჩნდება და გადამწყვეტი სიტყვა სწორედ მას, მომხმარებელს ეკუთვნის.

არ ვიქნებით ობიექტური, თუ ვიტყვით,

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქეთევან ჯიოშვილი, თამარ დილელაშვილი და ეთერ თიკანაშვილი სართავ საამქროში



საქსოვი საამქროს მუშა ჟუჟუნა ლომიძე

რომ მომხმარებელი ყოველთვის კმაყოფილია გორელ ფეიქართა ნახელავით. სწორედ მომხმარებლის ინტერესებიდან გამომდინარეობდა ის საქმიანი სჯა-ბაასი, მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა ზოგიერთი ხელმძღვანელის უშუალო მონაწილეობით რომ გაიმართა „საქართველოს ქალის" მრგვალ მაგიდასთან. ამ წერილს მკითხველი უკვე გაეცნო. წარმოჩინდა მრავალი პრობლემა, რომელიც დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვს. ვერც გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანება დარჩა აქ წამოჭრილი პრობლემების მიღმა. ეს ბუნებრივიც არის, სამკერვალო ფაბრიკებისათვის ნედლეულის ძირითადი მიმწოდებელი ხომ გორელი ფეიქრებიც არიან.

შეეფერება თუ არა სიმართლეს საუბარში „გულისტკივილი მომხმარებლიდან იწყება" მათ მიმართ გამოთქმული შენიშვნები, რას უჩივის მომხმარებელი მათ გამოშვებულ პროდუქციას, რა პრობლემები დგას კოლექტივის წინაშე და, რაც მთავარია, რა ღონისძიებებია დასახული მათი დროული გადაჭრისათვის გარდაქმნის დღევანდელ მოთხოვნათა შესაბამისად. ამ მისიით ვესტუმრეთ გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანების გენერალურ დირექტორს მ ე რ ა ბ ნ ი ჟ ა რ ა ძ ე ს.

მოვუსმინოთ მას:

— თავის მართლება, როგორც იტყვიან ხოლმე, ვერაფერი ბედენა საქმეა, არც პასუხისმგებლობის თავიდან მოხსნა და სხვაზე გადაბრალება იქნებოდა ლამაზი. პირიქით, პირველ რიგში და საერთოდაც ნაკლი ყველაპ ჩვენს თავში უნდა ვეძებოთ, მისი აღმოფხვრის გზებიც ჩვენვე უნდა მოვიძიოთ და საქმე გაცილებით უკეთ იქნება. მაგრამ ზოგჯერ გაჩუმება, წაყრუება, პირში წყლის დაგუბება არ იძლევა სასურველ შედეგს. ასე რომ, ჩვენც გვაქვს როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური მიზეზები, რომელთა დაფარვას არც ვცდილობთ. ისიც მართალია, რომ მომხმარებელს თავისი პრეტენზიები აქვს და სულაც არ აინტერესებს შენს მიზეზებში „ცხვირის ჩაყოფა". მას მაღალხარისხოვანი, უნაკლო პროდუქცია უნდა და, ბუნებრივია, ვერც გაამტყუნებ.

საღებავებსა და ქიმიკატებს დიდი შეფერხებით და მეტწილად უხარისხოს ვიღებთ. არ გამიგოთ ისე, თითქოს თავი „მამა აბრამის ბატკნად" მოგვქონდეს. ზოგჯერ ჩვენც ვცოდავთ. ხშირად მოწყობილობათა სიძველის გამო ვერ ვიცავთ ტექნოლოგიურ პროცესებს. ისიც ხდება, საამქროს ქიმიკოსები ზუსტ ანალიზს ვერ აკეთებენ საღებავების მდგრადობაზე, მაგრამ, თუ კი საზღვარგარეთიდან შემოტანილი და ჩვენი ტექნოლოგიით დამუშავებული საღებავი ფერს არ იცვლის რეცხვის ან ხმარებისას, სამამულოს რაღა მოსდის?

ჩვენ კოოპერირება გვაქვს ბულგარეთის რესპუბლიკასთან, და აი, ასეთი ექსპერიმენტი მოვაწყვეთ: ჩვენი ქსოვილი დასაჩითად მათთან გავგზავნეთ. შედეგი საუცხოო მივიღეთ.

ნათქვამია, ხელი ხელს ბანს და ორივე პირსაო. შარშან ჩვენს გაერთიანებას სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის მინისტრი ამხ. ვ. კლუევი ესტუმრა. ჩვენი მუშაობის პრინციპები მას გავაცანით, ავუხსენით საწარმოს გასაჭირიც. ბევრი ვითათბირეთ, ყველაფერი ავწონ-დავწონეთ და გაერთიანება 1987 წლიდან სამეურნეო ანგარიშზე გადავიდა.

ეს არ იყო გატკეპნილი გზით სიარული. და ყველაზე მეტად მხარში ამოდგომა და გამხნევება ახლა გვჭირდებოდა. მაგრამ ჯერჯერობით მდგომარეობა ბევრად არ შეცვლილა. ჩვენ დღესაც ველოდებით იმ მანქანა-დანადგარების დიდ ნაწილს, რომელიც გაერთიანების მთლიან რეკონსტრუქციამდე (1990-92 წლამდე) მისი ტექნიკური გადაიარაღებისათვის არის საჭირო. თორემ რა გამოვიდა, ჩვენი ზოგიერთი საამქროს დანადგარი 25-30 წლისაა და საცაა „სული ამოხდება".

რეკონსტრუქციას მოითხოვს სამღებროგამომყვანი საამქროები, რომლებიც მთლიანად ავარიულია. ტექნოლოგიურ გადასვლებზე ტექნიკური პროცესების დარღვევა იწვევს ნართის უთანაბრობას და ხამ ქსოვილზე დეფექტების წარმოქმნას. ხშირად წუნი პარტიებად გამოდის, რაც დაბლა წევს ხარისხის მაჩვენებელს და მომხმარებლის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. დაბალ დონეზეა დანადგარების მოვლა-პატრონობის საქმეც.

მართალია, რეკლამაციათა რიცხვი გასულ წლებთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა, მაგრამ რასაც ვიღებთ, ისიც ძალზე ბევრია.

რა თქმა უნდა, ყველაფერ ამას გულხელდაკრეფილები როდი ვუყურებთ. წარმოებაში ყველაფერი კეთდება შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, წარმოების ეფექტიანობის, გამოშვებული ნართის, ხამი და მზა ქსოვილის ხარისხის ასამაღლებლად. ამ მიზნით შექმნილია რვა ხარისხის ჯგუფი, რომლებიც მონაწილეობენ მანქანა-დანადგარების ტექნიკურ დათვალიერებაში, საზოგადოებრივ წუნდებებში, ახალი ტექნიკის ათვისებაში.

გაერთიანებაში ისევ დიდია კადრების დენადობის მაჩვენებელი. ეს მეტწილად ახალბედა მუშებს ეხება. მათი სტაჟი ხშირ შემთხვევაში ერთ წელს არ აღემატება, რაც გამოწვეულია იმით, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციები ახალგაზრდებს სათანადოდ არ ეხმარებიან პროფესიის არჩევასა და ათვისებაში.

ნათქვამია, ადამიანს სატკივარი უფრო მეტს ალაპარაკებსო და ასეც მოხდა. დირექტორის საუბარი მეტ-ნაკლებად ყველა მტკივნეულ პრობლემას შეეხო.

გაერთიანებას შარშან ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს გორის სამკერვალო ფაბრიკა შემოუერთდა. ამან დადებითად იმოქმედა გაერთიანების ფინანსურ-ეკონომიკურ მაჩვენებელზე.

მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ 1987 წლის ბოლოს გამართულ საკავშირო გამოფენა-ბაზრობაზე გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანებამ სარეალიზაციოდ გამოიტანა ამ ფაბრიკის მიერ შეკერილი ოთხნახევარი მილიონი მანეთის მზა ნაწარმი. ამან კი წარმოებას მილიონ ასი ათასი მანეთის მოგება მისცა. ხოლო 1988 წლისათვის გაერთიანებას ცხრა მილიონი მანეთის მოგება აქვს დაგეგმილი. ისიც ნიშანდობლივია, რომ 1988 წლის გეგმით საერთო გამოშვებული პროდუქციის 15-20 პროცენტი ადგილზე დამუშავებას ითვალისწინებს.

ახლა გაერთიანებაში დიდი ყურადღება ეთმობა მოდურ სიახლეთა სახელშეკრულებო ფასების დანერგვას, წარმოების ეკონომიკური და სოციალური რეზერვების ამოქმედებას და არა მარტო წლიური გეგმების, არამედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით შედგენილი გრძელვადიანი პროგრამების და სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებას.

მეურნეობრიობის ახალი მეთოდების დანერგვაში დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად კარგად შეიგნებენ მშრომელები თავიანთი შრომით გამომუშავებული მანეთის ყადრს, რამდენად შეძლებენ ისინი თავიანთი მატერიალური კეთილდღეობა დაუკავშირონ საწარმოს საქმიანობის საბოლოო შედეგებს. ადამიანის ფაქტორის გააქტიურების გარეშე ხომ შეუძლებელია სრული სამეურნეო ანგარიშის, თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების დანერგვა. ხოლო სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნის ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი პროდუქციის ხარისხია. როგორც მ. ს. გორბაჩოვმა თქვა „დაბალი ხარისხი ჩვენი ეროვნული დოვლათის ყველაზე საშიში მტერია".

მყიდველთა მოთხოვნილებების გათვალისწინება, ბაზრის კონიუნქტურის კანონი სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ კოლექტივს საშუალებას აძლევს, იმოქმედოს დამოუკიდებლად, პირდაპირ დაუკავშირდეს პარტნიორებს, ისარგებლოს სამეურნეო ანგარიშის დიდი შესაძლებლობებით. მის შესრულებაში არ უნდა არსებობდეს ხელისშემშლელი პირობები და როგორც გაერთიანების დირექტორმა თავისი საუბრის ბოლოს სინანულით დასძინა — კანონი მარტო ერთისთვის კი არა, ყველასათვის კანონი უნდა იყოს, და მაშინ, ალბათ, პრობლემები უფრო ადვილად და უმტკივნეულოდ მოგვარდებაო.

გორის საწარმოო გაერთიანებაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა 80 პროცენტს ქალები შეადგენენ. მათ შორის ბევრია მოწინავე. მეტწილად მათ მუშაობაზეა დამოკიდებული მთელი საწარმოს ავ-კარგი.

ვინ არ იცნობს მეორე სართავი ფაბრიკის მრთველს, საკავშირო ლენინური კომკავშირის ლაურეატს, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და გორის საქალაქო კომიტეტის წევრს, შრომის დიდების ორდენის კავალერს ნელი გელდიაშვილს. მას სამუშაო კალენდარზე 1988 წელი ჯერ კიდევ შარშან, ოთხ ივლისს დაიწყო. ნელი კარგად უთავსებს ერთმანეთს სწავლასა და შრომას — გორის ეკონომიკის ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტია.

მაინც რით განსხვავდება იგი თანამოსაქმეებისაგან? — მინდობილი საქმის ერთგულებით, დიდი შრომისმოყვარეობით და გულისხმიერებით. ნელი 910-ის ნაცვლად 1920 თითისტარს ემსახურება, გეგმებს 200-220 პროცენტით ასრულებს. მის მხარდამხარ შრომობენ საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მოწინავე მრთველი ზოია ნინიკაშვილი, შრომის დიდების III ხარისხის ორდენის კავალერი ეთერ თიკანაშვილი, პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის წევრი, მქსოველი თამარ ფედორენკო, კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირი ნინო მახათაძე, გაერთიანების კომკავშირის კომიტეტის წევრი ლეილა ბაციკაძე, შრომის წითელი დროშის ორდენის ორგზის კავალერი, მქსოველი ჟუჟუნა ლომიძე, რომელიც ოცდახუთი წელია ამ საწარმოში მუშაობს და გეგმებს ყოველთვის დიდი გადაჭარბებით ასრულებს. სხვათაშორის, აქვე მუშაობს მისი მეუღლე და ორი შვილიც. მისმა ბრიგადის წევრებმა მხარი დაუჭირეს სვერდლოვსკელთა ინიციატივას „შრომისა და საზოგადოებრივ დისციპლინას — კოლექტივის გარანტია".

ახალგაზრდების აღმზრდელი და დამრიგებელი — ასე იცნობენ კოლექტივში მეორე საქსოვი ფაბრიკის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარეს, 39-ე პროფტექნიკური სასწავლებლის ყოფილ დირექტორს, ოქტომბრის რევოლუციის ორდენის კავალერს, ომისა და შრომის ვეტერანს ქალბატონ ნინო კურდღელაშვილს.

...ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

უთუოდ ისიც დაგვაინტერესებს, როგორია ამ კოლექტივის შრომისა და დასვენების პირობები, შეესაბამება თუ არა დღევანდელ მოთხოვნებს? ამის გასარკვევად გაერთიანების პროფკომიტეტის თავმჯდომარეს ქეთინო ჯიოშვილს გავესაუბრეთ.

მასთან საუბრიდან შევიტყვეთ, რომ შარშან გაერთიანების 100-მდე ოჯახმა ახალი ბინა მიიღო. ეს მით უფრო სასიხარულოა, რომ 1984 წლიდან ბინათმშენებლობის საკითხი ერთ ადგილზე იყო გაყინული. დღესდღეობით ბინის აღრიცხვის რიგში ისევ 600-მდე ოჯახია. წლეულს ოთხი ოცბინიანი სახლი უნდა აშენდეს.

გაერთიანებას ორი სკოლა და ოთხი სკოლამდელი დაწესებულება აქვს. სადღელამისო ბაგა-ბაღი — 240 ბავშვითაა და მათ უფასოდ კვებავენ. მუშათა განკარგულებაშია პოლიკლინიკა, რომელიც ერთ ცვლაში დაახლოებით 250 კაცს ემსახურება, 90 საწოლიანი სტაციონარი, 50 საწოლიანი სანატორიუმ-პროფილაქტორიუმი. 1989 წლიდან დაიწყება სანატორიუმ-პროფილაქტორიუმის მშენებლობა სამკურნალო ბაზით.

შარშან გორელმა ფეიქრებმა საჩუქრად მიიღეს კულტურისა და ტექნიკის სასახლე (დირექტორი რობერტ მაღლაფერიძე). მართალია, მისი მშენებლობა ძალზე გაჭიანურდა, მაგრამ ახლა თამამად შეიძლება ადამიანმა მისი ყველა სიკეთით იამაყოს.

დიდი ყურადღება ეთმობა სპორტულ-გამაჯანსაღებელ მუშაობას. მოქმედებს სპორტული კლუბი „დილა". ეწყობა სპარტაკიადები. გათვალისწინებულია სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობა დახურული აუზით.

მალე გაიხსნება საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი. გაერთიანების ტერიტორიაზე აქვთ სამრეწველო, სასურსათო, ხილბოსტნეულისა და ნახევარფაბრიკატების მაღაზიები, კაფე. აქვეა კოოპერატივი „ქართული პური". ყველა ფაბრიკას აქვს სასადილო, სადაც მუშებისთვის მზადდება კომპლექსური კერძები.

მუშა-მოსამსახურეები სარგებლობენ აბანო-სამრეცხაოთი. ყველა საამქროშია საშხაპეები, გასახდელები, ქალთა ჰიგიენის ოთახი.

მალე გაიხსნება სტომატოლოგიური და ქალთა კონსულტაციის კაბინეტები, ფსიქოლოგიური განტვირთვის ოთახი.

გაერთიანების მუშა-მოსამსახურეთა განკარგულებაშია ათი მიკრო-ავტობუსი, რომლებიც მათ ახლო-მახლო სოფლებში დაატარებს.

გაერთიანების შრომა-საქმიანობის ნამდვილი სარკეა საგამოფენო დარბაზი, სადაც ბზინავს ერთმანეთის მიჯრით მიწყობილი ლამაზი ქსოვილები.

**ნუნუ კუპრეიშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნაზი კილასონია-60

ვინ არ დამტკბარა ამ პოეტი ქალის მშვენიერი ლირიკით, — სიმღერებმაც რომ თავიანთ ჰაეროვან ფრთებზე აიტაცეს და მოჰფინეს მთელს საქართველოს „ღიღილო“, „ნუკრია“, „მე ათი გულის ღირსი ვარ“...

ვის არ ჩარჩენია გულში მისი „თებერვლის პირზე“, „მონადირენი“, „ზამთრის ზღაპარი“, „რომელი“? „დაბერდა პოეტი“... რომლებიც დამკვიდრდნენ მის „საესტრადო რეპერტუარშიც“.

რა თბილია, უზომოდ თბილი, მამისადმი მიძღვნილი სტრიქონები თუ დედობის სათუთი გრძნობით დაწნული „გიო“, „მამუკა“... რა რიგ გვხიბლავს მისი საყვარელი ქართლის ფერადოვანი პეიზაჟები. ანდა... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ?

მოგვიანოდ ნაზი კილასონიას პოეზია კიდევ მეტად გაამდიდრა კომუნისტური მგზნებარებით დაწერილმა ლექსებმა: „რწმენა“, „მაისისთვის თქმული“, „რევოლუცია — ჩემი სიყვარული“, „პათეტიკური“, „ეს არის რწმენა დღევანდელობის“, „მუშათა კლასი“, „ჰანგი ინტერნაციონალი“ და სხვა, რისთვისაც მას 1981 წელს „ხუთწლედის მატიანის“ პრემია მიენიჭა.

პოეტი ქალი ავტორია ნიჭიერად დაწერილი საბავშვო ლექსების, ნარკვევებისა და თარგმანების.

მისი ლექსები თარგმნილია საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე.

ბევრის თქმა შეიძლება ნაზი კილასონიას შემოქმედებაზე, პოეტ ქალზე, რომელმაც დამსახურებულად დაიმკვიდრა ადგილი ცნობილ ქართველ პოეტთა შორის.

იგი დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით. მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის საპატიო წოდება.

აგერ, 25 წელზე მეტია, რაც ნაზი კილასონია ჩვენი ჟურნალის რედაქციის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებას ხელმძღვანელობს და თავისი წვლილი შეაქვს ჟურნალის მხატვრულ-ლიტერატურული დონის ამაღლებაში. მისი ლექსების დიდი ნაწილიც ამ რედაქციის კედლებშია დაბადებული და პირველ ჭაშნიკსაც მისი ჟურნალისტი კოლეგები ვუსინჯავთ. ამიტომაც არის, რომ სიხარულით ვიზიარებთ კიდევ ერთ ჭეშმარიტ აღიარებას ნაზი კილასონიას შემოქმედებითი დამსახურებისა, რომელიც წილად ხვდა ხალხის საყვარელ პოეტს მისი დაბადებიდან მე-60 წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო საღამოებზე თუ გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე.

წინ ჯერ კიდევ დიდი გზაა და გვჯერა, პოეტი ქალი არაერთხელ გაახარებს მის მკითხველებსა და თაყვანისმცემლებს თავისი მშვენიერი, თავისთავადი ლექსებით.

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ სარედაქციო კოლეგია და რედაქციის მთელი კოლექტივი ულოცავენ სახელოვან პოეტს, ჟურნალისტსა და ძვირფას მეგობარს ნაზის მისი დაბადების დღეს, უსურვებენ ხანგრძლივ, ჯანმრთელ, შემოქმედებითი სიხარულით სავსე ცხოვრებას.

**ჟურნალ „საქართველოს ქალის“ სარედაქციო კოლეგია და რედაქციის კოლექტივი.**

**პოეტის ახალი ლექსი**

ნაზი კილასონია

## ბავშვთა დაცვა

პირველ საწყისს,
კეთილ მარცვალს —
დროშად ავწევ
ბავშვთა დაცვას!
გენაცვალე,
ჩვენო მტრედო,
საიმედოდ
უნდა გენდოთ.
შენ ღუღუნით
ფრთას რომ გაშლი,
ვინ გამღუნავს
წვიმა ქარში?
ბავშვთა მზეში
უნდა ვენთოთ
რწმენით!
ეშხით!
სასიკეთოდ!
მე თოფს დავწვავ
იმ ზარიანს —
რადგან მიწის
მიზანია:
გაიფურჩქნოს
ია ლაღი,
დაიწყევლოს
იარაღი!..
ვარსკვლავებთან
სათამაშოდ
ხელთა მყევხარ,
ჩემო ბავშვო.
მესმა მეტად
ჩემი ვალი:
ხარ პლანეტის
მომავალი!
მისთვის ვარ და
მისთვის ვცოცხლობ,
სულ ვარდივით
უნდა გკოცნო!
გრძნობის წყაროვ,
ერთო ციცქნავ,
შენით ხარობს
დედამიწა!
შენთვის ვარ და
შენთვის ვცოცხლობ,
სულ ვარდივით
უნდა გკოცნო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თუ საკუთარ თავს აღმოაჩენთ...

## ფსიქოლოგიური სამსახურის სიკეთე



თამაზ ნონიაშვილი, მანანა მენთეშაშვილი და ამირან გრიგოლავა

გათენდება ერთი დღეც და აღმოაჩენთ: რომ გეგონათ, არც ისე ბედნიერი ყოფილხართ. აქამდე თითქმის ვერაფერს ხედავდით; უყურადღებოც ყოფილა თქვენი მეუღლე და საკმაოდ გულგრილიც არა მარტო ცოლის მიმართ, ბავშვებისადმიც. გაღიზიანებთ მეუღლის საუბრის ტონი, მანერები, თქვენც გამომწვევად ესაუბრებით, საკუთარ თავს ანგარიშს აღარ უწევთ. წარმოგიდგენიათ, აუთვალწუნებიხართ დედამთილსაც და მამამთილსაც! თურმე თქვენ არ გეხერხებათ საოჯახო საქმეები... შენიშვნასაც მწარედ განიცდით.

თქვენ კი... შეიძლება არც ტყუოდეთ — მეუღლე მართლაც ეჭვიანობს ოჯახში ახლადმოვლენილ პაწაწინა არსებაზე. მთელი თქვენი ენერგია, ძალა, სითბო და სიყვარული შვილს მიაქვს. დროში ვეღარ ეტევით. ღამეც კი დაგიკარგავთ მოსვენება. სურვილი იცოცხლეთ, კი გაქვთ, მაგრამ ძალა აღარ მოგყვებათ უწინდებური სითბო და ყურადღება ისევ უხვად მიაგოთ ქმარს. და ეს მას, ბუნებრივია, აღიზიანებს. თქვენ ყოველივე ეს იცით. გამოსავალს კი ვერ პოულობთ...

...გგონიათ, გგონიათ კი არა, დარწმუნებული ხართ, რომ სამსახურში თქვენი არ ესმით, ვერ გიგებენ, კონფლიქტურ სიტუაციებსაც ქმნით, ანდა გადაჭარბებულად აფასებთ გართულებულ ვითარებებს...

...ხომ ასეა: საზოგადოებაში შეზღუდულად გრძნობთ თავს. ხშირად გეუფლებათ ზედმეტობის გრძნობა.

...ახალ საქმეს კი შეუდექით, მაგრამ ვერაფრით მოიცილეთ შიში, რომ მოვალეობას თავს ვერ გაართმევთ ისე, როგორც საჭიროა...

გულწრფელად უკვირს ქმარს: ამ ქალზე როგორ ამოსდიოდა მზე და მთვარე!.. არა და ლამაზიც ჩანდა ადრე, ჭკვიანიც, თვინიერიც, დამთმობიც. ამ ბოლო დროს უწინდელი მშვენებაც დაკარგა (როგორ არ უხდება ეს საშინაო ხალათი!). მართალია, ერთგული მეუღლე და დედაა, მაგრამ ვერაფრით შეეთვისა ხასიათით. არა, შეუძლებელია მათი ერთ ჭერქვეშ გაჩერება...

არის ასეთი შემთხვევაც, როცა დედამთილს უკვირს, რა დაემართა რძალს, რატომ აზვიადებს თავის ფეხმძიმობას! მშობიარობის შიში ვის არ ჰქონია, მაგრამ ოჯახი ასე არ შეუწუხებია!..

...ორიოდე თვეა, რაც ახალგაზრდები დაქორწინდნენ და უკვე ვეღარ იტანენ ერთმანეთს. რა აუტანელი დედა ჰყოლია ცოლს! მარტო ასეთი სიდედრისათვის შეიძლება დაცილდე მეუღლეს.

და ერთ დღეს დაასკვნით: თურმე, რა უიღბლო და უბედური ხართ. ვერავინ გიგებთ, ვერც ოჯახის წევრები და მგონი თქვენც არ გესმით სხვების. თურმე აღარავის უყვარხართ. გამოსავალს ვერ ხედავთ. არ იცით, როგორ მოიქცეთ, როგორ იცხოვროთ ხვალ, ზეგ. ვის შეიძლება თქვენი გასაჭირი გაანდოთ და გირჩიონ რამე? სხვა თუ არაფერი, ნახევრდება განდობილი დარდი...

კრიტიკულ სიტუაციაში ეძებთ მრჩეველს და არ გაგონდებათ ფსიქოლოგი, რომელსაც შეუძლია ფსიქოლოგიის მეცნიერებაში დაგროვილი ცოდნის გამოყენებით თქვენი დახმარება.

მიმართეთ მას და.. გეგონათ რომ თავზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გექცეოდათ ზეცა, ფეხქვეშ გეცლებოდათ მიწა, იყავით უმწეო და მიუსაფარი, ზედმეტი და მოძულებული, იქნებ განწირულიც, აღმოჩნდება: ამაოდ გაგიწვალებიათ თავი, გაგიწვალებიათ სხვები, თურმე, როგორ ამუქებდით ყოველივეს!.. არადა, მართლა ღირებულა სიცოცხლე, მართლა ჰქონია ამქვეყნიურ ცხოვრებას მიზანი და ლაზათი...

ვიღას დავუმალოთ: ჩვენში არა გვაქვს ფსიქოლოგებთან ურთიერთობის ტრადიციები, მაშინ, როცა ამ ადამიანების მომსახურების სიკეთით ფართოდ სარგებლობენ თითქმის ყველა ქვეყანაში. არადა, ფსიქოლოგის ჩარევა რა მარტივად და სწრაფად ხსნის ნებისმიერ კონფლიქტს. ფსიქოლოგიური დახმარების მეთოდების კომპლექსი ოპერატიულად აწესრიგებს რთულ ვითარებებს, წინააღმდეგობებს.

და აი, წლეულს, იანვრიდან, ადამიანებს ფართოდ გაუღო კარი თბილისში, ჯაფარიძის ქუჩა № 22-ში დამკვიდრებულმა კოოპერატივმა „კომპიუტერმა", რომლის მიზანია მოსახლეობის ფსიქოლოგიური მომსახურება.

თამაზ ნონიაშვილი (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, კოოპერატივ „კომპიუტერის" თავმჯდომარე):

— ცხოვრებამ ცხადყო, რომ კარგა ხანია, აუცილებელია მოსახლეობის ფსიქოლოგიური მომსახურება. ფსიქოლოგებს ადრეც მიმართავდნენ დასახმარებლად. რა დასამალია და, ასეთ მომსახურებას შემთხვევითი, ვიწრო ხასიათი ჰქონდა და გარკვეულად — არალეგალურიც. თვითდაფინანსების სისტემის შემოღებამ საშუალება მოგვცა ამ მიზნით შეგვექმნა კოოპერატივი. და აი, ჩვენთან მოდიან ყოველდღე (გარდა კვირისა, საღამოს 6-დან 8 საათამდე, შაბათობით კი 3-დან 6 საათამდე), 17-დან 85 წლის ასაკამდე ადამიანები, მანდილოსნებიც და მამაკაცებიც. მათ ფსიქოთერაპიის სეანსებმა და ფსიქოლოგების კონსულტაციებმა დიდი შვება მოუტანა.

იქნებ ყველამ არ იცოდეს, რომ ფსიქოლოგთა შემწეობით გვარდება ოჯახური თუ სამსახურებრივი, მარტოხელობისა თუ ახალგაზრდული, მთელი რიგი სოციალური პრობლემები. ეხმარებიან ახალ დაქორწინებულთა ურთიერთობაში თავჩენილი თუ მეუღლეებს შორის შეთავსების, ბავშვების აღზრდასთან დაკავშირებული, საკუთარ შესაძლებლობათა ურთიერთობებში წარმოქმნილი სირთულეების დაძლევაში. ფსიქოლოგებს მიმართავენ აბიტურიენტები წინასაგამოცდო, მოსალოდნელი ან უკვე გაჩენილი შიშების მოსახსნელად.

დაუფასებელია ფსიქოლოგ მანანა მენთეშაშვილის მიერ გაწეული სიკეთე — დეკრეტულ შვებულებაში გასვლის შემდეგ მომავალ დედებს კვირაში ერთხელ სეანსებს უტარებს და ამით ეხმარება სამშობიარო ტკივილების შემსუბუქებასა და სამშობიარო ტრავმების თავიდან აცილებაში.

ასობით ადამიანს მხსნელად მოევლინენ კოოპერატივის თანამშრომლები, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატები ამირან გრიგოლავა და ემზარ ელიგულაშვილი.

— წლების მანძილზე გაწეულმა მუშაობამ ცხადყო, რომ ადამიანს ხშირად უჭირს საკუთარი თავის რეალიზაცია. მას ზოგჯერ ვერ შეუცვნია საკუთარი შესაძლებლობანი, რომელთა გადაფასებასა თუ შეუფასებლობას წარმოუდგენელ უარყოფით შედეგებამდე მიჰყავს პიროვნება. როცა იგი შეიცნობს, ჩასწვდება თავის უნიკალურ შინაგან რეზერვებს და უნარს, თავის ცხოვრებას უკვე მიზანსწრაფულად, სწორად წარმართავს. ეს კი ყველაფერია, — შენიშნავს ინსტიტუტის ფსიქოსომატური პრობლემების ლაბორატორიის ხელმძღვანელი ამირან გრიგოლავა.

— საინტერესოა, რა როლს ასრულებს ფსიქოთერაპიისა თუ ფსიქოლოგიური კონსულტაციების დროს ფსიქოლოგი?

— იგი თავის იდეას არასოდეს ახვევს თავზე ადამიანს, სეანსის პროცესში ფსიქოლოგი ეხმარება მას თვითონ მიაგნოს საკუთარ „მეს", თვითონ „აღმოაჩინოს" თავისი თავი.

...დღეს უკვე მთელი აქტუალობით დგება, განსაკუთრებით დიდ კოლექტივებში მშრომელთათვის ფსიქოლოგიური მომსახურების გაწევის აუცილებლობა, ჩვენის აზრით საჭიროა ყოველ საწარმოს თუ დაწესებულებას ჰყავდეს საკუთარი ფსიქოლოგები (სადაც ჰყავთ, იქ ზოგჯერ არადანიშნულებისამებრ იყენებენ მათ), ანდა ისინი სარგებლობდნენ კოოპერატივ „კომპიუტერის" მომსახურებით. საწარმო-დაწესებულებათა თანამშრომლებს სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე რომ შეეძლოთ კოოპერატივის სიკეთით სარგებლობა, ფსიქოლოგიური მომსახურების დადებითი შედეგები მნიშვნელოვნად აისახებოდა საერთოდ შრომითის მიღწევებში, წარმატებებში.

კიდევ ერთი საკითხი: ფსიქოლოგებს უდაოდ შეუძლიათ დიდი როლი შეასრულონ ოჯახების განმტკიცებაში. სასამართლოში ოჯახების დარღვევის შემთხვევების განხილვამდე და განქორწინების თაობაზე განაჩენის გამოტანამდე ამ წყვილებისათვის რომ დაწესდებოდეს ფსიქოლოგიური სამსახურის მუშაკებთან შეხვედრები, მრავალ ოჯახს შევინარჩუნებდით. მაგრამ ყველაზე უკეთესია, თუ ოჯახის დანგრევის გადაწყვეტამდე ახალგაზრდა ცოლ-ქმარი თვით მოინახულებს ფსიქოლოგებს.

უდაოდ დიდია ფსიქოლოგიური სამსახურის სიკეთე. იგი ცხოვრებას უხალისებს, სიცოცხლით აღავსებს ადამიანებს, იგი ეხმარება საკუთარი თავისა და შესაძლებლობების შეცნობაში, საზოგადოების წევრებთან ჯანსაღი ურთიერთობის დამყარებაში, შინაარსს სძენს პესიმისტის ცხოვრებას. თითქმის ხელახლა იბადება ადამიანი...

**ნათელა ქიმერიძე**

# ლექსები

## დე, სამუდამო მშვიდობა ჰქონდეს!

შორს გასცქეროდნენ მათი თვალები
ვიწრო შუკებს და შემოსახვევებს
და ოცნებებში რა გამალებით
უცვლიდნენ დაჭრილ ბიჭებს სახვევებს.
და ხუთი წელი იყო ნატრული
ვაზი სასურველ ხელის შეხების
მას შემდეგ ბევრი ხორგო საკლისობს
ყურძნის დაწურვას სუფთა ფეხებით.
ბიჭებს კი სიზმრად ელანდებოდათ
მიტოვებული მადონა სოფლის
და სევდა ისე ეძალებოდათ,
ვით ნათოხარზე მოწოლა ოფლის.
ო, რამდენს ჯავრი ჩაჰყვა ბოლომდე,
წყალ-ჭალის ხმა და ჩხრიალი ღელის
და ცივ წყაროსთან თეთრი ვერხვები
რამდენ შეუმდგარ პაემანს ელის.
თუმც ათეული წლები გვაშორებს,
ომის გრიგალმა გადაიარა,
დედები ცრემლებს ველარ იშრობენ
და გულში რჩებათ ღია იარად.
დღეს გვსურს მშვიდობის ქარები ქროდეს,
რომ გაამხნევოს ჩვენი პლანეტა,
დე, სამუდამო მშვიდობა ჰქონდეს
თამარს, გიორგის, შოთას, ანეტას.

## ტიციან ტაბიძეს

ისევ ჩვენთან ხარ, თითქოს არ გვაკლდე
პოეზიით და სიცოცხლით მთვრალი,
და საზეიმოდ ყოველ ცისმარ დღეს
მზეს მიხაკისფრად ედება ალი.
შენ ახლაც კი გრძნობ
სურნელს ვით აკმევს
საღამოა თუ დილაა მკრთალი
და დაობლებულ წითელ მიხაკებს
შენი მკერდისკენ უჭირავთ თვალი.
მათ უსასრულო საწუხარს ისმენ,
რომ უშენობის ცოდვით ინვიან
მოენატრები მიხაკებს ისევ
და შესახვედრად ხელებს ინვდიან.
თუმც შენი მკერდის მოაკლდათ სითბო,
შენი ღალატი მათ არ იციან
და თუ მიხაკი შენდობას ითხოვს
არ გიღალატებს, იცი ტიციან!

**ნაირა ლეჟავაშელი**

ილია რურუა

პროზა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ცის ალქაჯი" ჟიგულკა

მხატვარი ცინარა ტერელაძე



რამდენიმე დღით ბიჭვინთის ჟურნალისტთა სახლში მოვხვდი, როგორც სტუმარი, გაზეთების რედაქტორთა სემინარზე.

შესვენებისას, ვესტიბიულში, ერთ-ერთი რაიონული გაზეთის რედაქტორი გამომელაპარაკა. ჩემს გამოსვლაში მოყვანილი ფაქტის დეტალებით დაინტერესებულიყო. შუა საუბარში ვიღაც ქალი მოგვიახლოვდა, ქალბატონ ნორას მეგობრულად გადაეხვია და ბოდიშის მოხდით გვერდზე გაიხმო.

უხერხულობა არ იგრძნონ-მეთქი და თავი გაზეთებში ჩავრგე...

— ერთი წუთით, ქალბატონებო! — შემომესმა ამ დროს ძალიან ნაცნობი ხმა. მართლაც სანდრო აღმოჩნდა, ჩვენი აღიარებული ფოტოხელოვანი, რომელსაც ობიექტივი მოსაუბრეთათვის დაემიზნებინა. მაგრამ ჩემთვის უცნობმა ქალმა მაშინვე ხელი შემართა:

— სტოპ!.. თქვენ, რა, გინდათ ორ მშვენიერ ბანოვანს სურათი კავალრის გარეშე გადაუღოთ?!.

— შევცდი, ძვირფასო ჟიგულკა, მაპატიეთ! — სანდრომ თავისი განუყრელი ნაბდის ქუდი ღიმილით მოუხადა და შემოთავაზებული სახუმარო ტონი აიტაცა, — რაკი აგრე გსურთ, გთხოვთ კარგად მიიხედ-მოიხედოთ... კავალრები, ღვთის წყალობით, არ გვაკლია... არჩევანი თქვენზეა...

ჟიგულკა!

ეს სახელი გაგონილი მქონდა უკვე. ერთი მეგობარი ჟურნალისტი მეუბნებოდა, გუშინ-ჩვენს სემინარზე მოსკოვიდან მეტად საინტერესო ბიოგრაფიის ქალი გვყავს მოწვეული, უნდა გაგაცნოო.

„ალბათ ეს თუა"!

ქალებისაკენ გავიხედე და შევცბი. ჟიგულკას მარჯვენა ხელი, ფრიად თეატრალური ჟესტით ჩემსკენ გამოეშვირა, მოხდენილი თავი კეკლუცად გვერდზე გადაეგდო და შეჭუტულ თვალებს მიჟუჟუნებდა. რაკი დაბნეულობა შემატყო, ხელის მტევანი ბალერინასავით შეათამაშა და დამიძახა:

— ახალგაზრდავ, თქვენ გელოდებით!

გამეცინა. რომელი ახალგაზრდა მე ვიყავი, სამოცს გადაცილებული კაცი, ირონიულ ნათქვამად მაინც არ მიმიღია, რადგან ეს მომხიბვლელი და აშკარად თამამი ქალი ჩემზე დიდად ახალგაზრდა არ უნდა ყოფილიყო. უნებურად შეზიზინებულს, მარდად მომვარდა, მკლავში ხელი ჩამავლო და გვერდზე ამომიყენა.

თვალები ობიექტივს შევაჭყიტეთ, მაგრამ სანდრომ მოულოდნელად ხელები დაუშვა:

— ვფიქრობ, რეგალიებით აჯობებს! — მიმართა მან ჟიგულკას.—თუ გადაღებაა, გადაღება იყოს, ასე ვთქვათ, მთელი შიკით.

— რატომაც არა! — უმალ დაეთანხმა ქალი და ელეგანტურად შეკერილ, ღიაკრემისფერ ბუკლეს პალტოს მარჯვედ ჩაუხსნა სადაფისფერი დიდი ღილები. თითქოსდა დაუდევრად გვერდზე მოსროლილი პალტო წამით შეფრიალდა ჰაერში და დაბალი მაგიდის შუაგულში ფრინველივით დაეშვა.

თვალებში შემომანათა ქალის მკერდზე აკიაფებულმა ოქროს ვარსკვლავმა.

ჟიგულკას თეთრი, ნაზი თივთიკის მაღალყელიანი სვიტრი და შალის მოსქო შავი ქვედაკაბა ეცვა. ჩამოსხმულ ფეხებზე შემოტმასნოდა რბილი ტყავის მოვარდისფრო კოხტა ყაზაკური ჩექმები. უნაკლო აღნაგობის ქალი იყო. სახეზე აქამდე არ ჩაქრობოდა ოდესღაც, ალბათ, დამაბრმავებელი სილამაზის არილი. თეთრ პირისკანს მკრთალად მოსდებოდა კოსმეტიკური კრემით დარბილებული წვრილი ნაოჭები. მთის ტბასავით ღრმა და გამჭვირვალე ცისფერი თვალები კი, შიგ ჩამსხდარი ჭინკებით, ჯერაც ახალგაზრდულად ულივლივებდა.

„ნამდვილად ის არის“ — დავასკვენი გულში...

სანდრომ ფოტოაპარატი ხელახლა შემართა, მაგრამ ჟიგულკამ კვლავ პირი უშალა:

— ო, ეგრე არა!.. მეტისმეტად პარადული გამოგვივა... მეტი ინტიმია საჭირო, — და ღიმილით ამომხედა, — ხომ მართალს ვამბობ, ჩვენო ენაგადაყლაპულო კავალერო?!.

გულიანად გაცინებული რომ დამინახა, თავადაც ამყვა, შემდეგ მარჯვენა ხელისგული ლოყაზე მიიდო და მოუსვენარი თავი ჩემს მკერდზე ააწრიალა. თითქოს მოხერხებულად ვერ მოაკალათაო, ბოლოს, მხარზე ჩამომაყრდნო და მაშინვე ლოყის ქვემოდან მარჯვედ გამოცურებული ხელი ძირს დაუშვა. „ბედნიერი შეყვარებულის“ პოზა, ალბათ, ფრიად მეტყველი გამოვიდა, რაკი ირგვლივ საერთო სიცილი ატყდა.

ბლიცის გაელვება და ფოტოაპარატის გატკაცუნება ერთი იქნა...

ჯენტლმენობის გამოჩენის დროც მოვიდა. პალტოს ატაცება ყველას დავასწარი და ქალს მოხერხებულად მოვუმარჯვე. ჟიგულკამ ანცად უკან გადმოყრილი მკლავები მარჯვედ სტუცა სახელოებში და ტანის ერთი აქნევით პალტოში გაეხვია. შემდეგ წვრილქუსლიანი ჩექმების გაბაკუნებით შემობრუნდა, წამით თვალებში შემომაცქერდა და კეკლუცი გოგონას გამოჯავრებით წარმოთქვა:

— მერ-სი!

თვალგაშტერებული შევაცქერდი და როგორღაც თავისთავად აღმომხდა:

— ნუთუ ეს მართლა თქვენა ხართ?!.

ჟიგულკამ გაოცებით აახამხამა წამწამები:

— განა თქვენ მე მიცნობთ?!

— გიცნობთ, თქვენი არცნობა განა შეიძლება?! — უნებურად შემიჩქროლდა ხმა, — თქვენ ხომ ერთხელ ტელეეკრანიდან მესაუბრეთ...

— გესაუბრეთ?!. — წამით დაიბნა ქალი, მაგრამ უმალ აზრზე მოსულს, გაეღიმა. — ჰო, გასაგებია... მქონდა ეგეთი ბედნიერება... რაც მართალია, მართალია, ძალიან ყურადღებით კი მისმენდით... გმადლობთ, რომ დაგხსომებივართ! — ხელი გამომიწოდა, თავი დამიქნია და სწრაფი ნაბიჯით ლიფტისაკენ გასწია...

ქალბატონ ნორას მივუბრუნდი:

— მაპატიეთ, თქვენთან საუბარი თუ ვერ დავამთავრე...

— რას ბრძანებთ... ალბათ, თქვენთვისაც სასიამოვნო იყო, საუბარში ასეთი ქალი რომ ჩაგვერთო.

— და მაინც, გულნაკლული ვრჩები. ისე დავცილდი, მისი სახელი და გვარი ვერ გავიგე.

— აჰ, მართლა, ისიც კი ვერ მოვასწარი, გამეცნო... ევგენია ჟიგულენკო გახლავთ, ცნობილი მფრინავი, ჩვენი სემინარის საპატიო სტუმარი...

ყველაფერი ერთბაშად აღმიდგა მეხსიერებაში.

ის გამოსვლა გამარჯვების ორმოცი წლისთავის ზეიმის დღეებში შედგა... ამ ქალმა მთელი ჩვენი ოჯახური აუდიტორიის ყურადღება მიიპყრო ერთბაშად. ტელეეკრანიდან გვესაუბრებოდა გამორჩეული გარეგნობის ადამიანი, ცოცხლად და ემოციურად. მახსოვს, სურვილიც კი გამიჩნდა წარმომედგინა, როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო ქალიშვილობაში... ამის გაფიქრება და იმდროინდელი ფოტოსურათი— გამოაჩინეს კადრში... კლასიკურად დახვეწილი, რბილად შეთანაწყობებული სახის ნაკვთები... უსიცოცხლო ფოტოზეც შეიგრძნობდით ქალიშვილის გამაოგნებელ სილამაზეს, ლამის — მისი თმის სისალუქეს, ცოცხალი და ფართოდ გახელილი ცისფერი თვალების ციაგს... ეს სურათი სწორედ იმ დღეს გადაუღია, მეათე კლასიდან რომ გაპარულა ერთ მეგობარ ქალიშვილთან ერთად... ქალთა ავიაპოლკის ფორმირების შექმნის ამბავი რომ გაუგიათ, ორივეს მოსვენება დაუკარგავს და ერთ დღეს განზრახვა აუსრულებიათ კიდეც... თვრამეტისანი ჯერ კიდევ არ ყოფილან, ამიტომ პასპორტები არ გამოუჩენიათ, დაგვეკარგაო. გარეგნულად სავსებით მოწიფულთ, ტყუილი გასვლიათ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრი საინტერესო რამ გვიამბო მაშინ ჟიგულკამ ტელეეკრანიდან... ხუთასზე მეტი რეისი ჩავატარე ჩემი ჯაბახანა „უ-2“-ითო... წარმოგიდგენიათ, ამდენი საბრძოლო გაფრენა ომისწინა გამოშვების მოუქნელი, ნელმავალი ბიპლანით, რომელიც ხალხმა თავიდანვე „კუკურუზნიკის“ სახელით მონათლა!. ვის შეეძლო ეფიქრა, ასეთი, ლამის მთლიანად ფანერისაგან შეკრული მოუქნელი თვითმფრინავი თუ ამოდენა სამსახურს გასწევდა ომშიც. პრაქტიკულად თითქმის ჩამოუგდებელი აღმოჩნდა, ამიტომ მისი გამოჩენა მტერს ყოველთვის პანიკას გვრიდა. ფაშისტებს განსაკუთრებით ის აცოფებდათ, თურმე, რომ ამ მოუქნელი თვითმფრინავებით გაბედულ რეისებს პილოტი ქალები ახორციელებდნენ, უმეტესად ღამ-ღამობით. ამიტომაც შეურქმევიათ მათთვის თავიდანვე „ღამის ალქაჯები“...

ჩვენი კარგი, მომხიბლავი ჟიგულკაც სწორედ ერთი მათგანი გახლდათ.

თავისი გამოსვლა მაშინ, ტელევიზორში, მამაცმა მფრინავმა ქალმა ასეთი გახსენებით დაამთავრა:

— ყირიმის განთავისუფლებისათვის რომ ვიბრძოდით, ღამის დაბომბვიდან მობრუნებული, მტრის პროჟექტორებმა გამომიჭირეს, ერთიანად დაცხრილულ, ალმოდებულ მანქანას ველარ ვიმორჩილებ. მხოლოდ ერთი სურვილი დამუფლებია — როგორმე ზღვამდე გავაღწიო, რომ ცოცხალი თავით ფაშისტებს არ ჩავუვარდე ხელში... ამაოა იმედი!... ვატყობ, უკვე მიწისკენ მივექანები, ვერაფერს ვხედავ, გონებასა და გრძნობას ვკარგავ, სადაცაა მიწას დავენარცხები... უცებ მიბნედილი გონების კუნჭულში, სადღაც, ნათელხილვამ გაიკიაფა და წამით დავინახე, ნათლად დავინახე, დედის სახე... სულ ცოცხლად, ფერ-ხორციანად... მოხდა სასწაული, კვლავ გონს მოვეგე, მაგრამ ისიც თითქოს იმისათვის, რომ გული მწვავე სინანულით გადამსეროდა — ამ დილით, როცა ავდექი, ხომ გამიჩნდა სურვილი დედისათვის წერილის გაგზავნისა?!. რად დავიზარე, რატომ გადავდე?!. არადა, დამეწერა, ცოტა ხნით მაინც გავუხანგრძლივებდი იმედსა და მოლოდინს... ეჰ, ჟიგულკა, ჟიგულკა, მორჩა ყველაფერი!..

თქვენ წარმოიდგინეთ, გადარჩენილა.

ეს სასწაული მფრინავმა ქალმა, მაშინ, ტელევიზორიდან რომ გვესაუბრებოდა, დედობრიობის იდუმალ ძალას მიაწერა... სხვა ახსნა, უბრალოდ, ვერ მიპოვნიაო..

და აი, მთელი ათი წლის შემდეგ ასეთი მოულოდნელი შეხვედრა, აქ, ბიჭვინთის ლაჟვარდოვან სანაპიროზე...

და კიდევ ახალი რამ ჟიგულკაზე.

სავახშმოდ რესტორნის კარებს რომ მივადექით, შესასვლელთან ფლომასტერით ოქრო-ბოქროდ დაწერილი აფიშა გვეცა თვალში, რომელიც გვაუწყებდა რომ საღამოს, კინოდარბაზში გაიდოდა ფილმი სამხედრო მფრინავებზე.

ფილმი ევგენია ჟიგულენკოს რეჟისორობით აღმოჩნდა გადაღებული, თანაც მხატვრული, სრულმეტრაჟიანი... წმინდა პროფესიული თვალსაზრისით იქნებ ყველაფერი რიგზე ვერ იყო (განსაკუთრებით მხატვრის ნამუშევარზე ითქმოდა), მაგრამ ფილმს სიმართლეს და დამაჯერებლობას ვერ წაართმევდით.

ტაში და ყვავილები არ დაგვიშურებია.

იყო შეკითხვებიც. ერთი ასეთი: — ჟიგულკა, რამდენი შვილი გყავსო?

ქალი თეთრი ეკრანის წინ იდგა, გაჩირაღდნებულ ავანსცენაზე და გარკვევით შევამჩნიეთ, როგორ გადაუარა სახეზე წამიერმა დაღონებამ, მაგრამ თავი მაშინვე დაიმორჩილა და თითქოსდა დაუდევრად გვიპასუხა:

— აბა, საიდან, მეგობრებო!... ხომ ნახეთ, როგორი ჯახირით აგვაქვს თვითმფრინავზე ყუმბარები... ნამდვილად ასე იყო ყველაფერი... ყოველი ყუმბარა სამას კილოგრამს იწონიდა... თანაც

ამ მამაკაცურ საქმეს ორი წელგაუმაგრებელი ჭყინტი გოგო ართმევდა თავს — პილოტი და შტურმანი... ქანცგაწყვეტილებს, ფეხები ძლივს აგვქონდა კაბინაში... უკვე მაშინ გვესმოდა, დედობის სიხარული რომ აღარ გველოდა, თუნდ ცოცხლები გადავრჩენილიყავით. ასეა, მოკლედ! — წამით გაყუჩდა და შემდეგ უნებური ამოოხვრით აღმოხდა, — ბავშვი მხოლოდ ამყვა, მაგრამ შერჩენით კი არ შემრჩა... ქმარიც ამას წინათ მომიკვდა... ასე რომ, დავრჩი სრულიად მარტო.

თითქოს ნათქვამმა შეაკრთოო, მძიმედ გაჩუმებულ დარბაზს თვალი გადაავლო და კვლავ მისებურად გამოცოცხლდა:

— თუმცა რატომ მარტო?!. განა თქვენ ჩემთან არა ხართ, მე კიდევ თქვენთან?! ასეა ყოველ დღეს და ასე მგონია, ბოლომდე ამგვარად გაგრძელდება... ყოველ შემთხვევაში, მარტოობის მტანჯველ გრძნობას არ ვნებდები... არ ვიცი, შემდეგ როგორ იქნება, მაგრამ ახლა, დამიჯერეთ, ნამდვილად ასეა, — ხმაში აღელვების ბზარი მაინც გაუჩნდა, ამიტომ მკლავები ფრთებივით ჩვენსკენ გადმოშალა და ერთბაშად მოჭრა, — გმადლობთ, ეს ერთი საღამოც რომ მაჩუქეთ... ყველაფრისთვის გმადლობთ!

ჟიგულკასაგან სხვანაირ სიტყვებს არც ველოდით.

---

### კოოპერატივი

# „რადონი“ სახელი გაითქვა



● გამომჭრელი თ. ურანიაშვილი (შუაში) ინჟინრებთან ი. მეგრელიშვილი და ბ. ზვიადაძე.

წყალტუბოსთან ახლოს, სოფელ ბანოჯაში გაიხსნა საწარმოო კოოპერატივი, რომელსაც სახელად „რადონი“ დაანათლეს. „რადონი“ ჯერ ერთი წლისაც არ არის და უკვე დიდი პოპულარობა მოიპოვა რესპუბლიკაში.

კოოპერატივს ინჟინერ-ტექნოლოგი (მრეწველობის დარგში) ნათელა ბობოხიძე ხელმძღვანელობს. მისი წევრები ბანოჯის კოლმეურნეობის წევრები არიან; უმრავლესობა ქალებია.

კოოპერატივი სპეციალიზდება კაცის ქურთუკების, შარვლების, ქალის ბლუზების, საბავშვო კოსტიუმების და სხვა ნაწარმის გამოშვებაზე.

შარშან, სექტემბერში დაიწყო კოოპერატივმა მუშაობა და თავიდანვე დიდ წარმატებას მიაღწია. მაშინ ფიქრობდნენ, რომ წლის დამლევამდე ეწარმოებინათ და გაეყიდათ 80 ათასი მანეთის პროდუქცია, და აი, 80 ათასის ნაცვლად აწარმოეს 147 ათასი მანეთის სხვადასხვა ასორტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მენტი. ოთხი თვის განმავლობაში 94 ათასი მანეთი მოგება მიიღეს. ეს განაპირობა გამოშვებული პროდუქციის მაღალხარისხოვნებამ.

სულ ცოტა ხანში კოოპერატივმა სახელი გაითქვა. მის მიერ გამოშვებულმა ნაწარმმა დიდი მოწონება დაიმსახურა. გაიზარდა კოოპერატივში შესვლის მსურველთა რიცხვი; იმატა პროდუქციის წარმოებამ, დაიდო ხელშეკრულებები სავაჭრო ორგანიზაციებთან, მიიღეს მრავალი შეკვეთა. ახლა კოოპერატივი ყოველთვიურად 60000 მანეთის საქონელს აწარმოებს. მოგებამ მარტო სამ თვეში 95000 მანეთს გადააჭარბა.

კოოპერატივის წევრები საკმაოდ სოლიდურ გასამრჯელოს ღებულობენ (საშუალოდ 280 მანეთს). ცხადია, ხელფასი ყველას ერთნაირად არ ეძლევა — იგი დამოკიდებულია მუშაობის ხარისხზე. ვინც უკეთ მუშაობს, იგი მეტსაც იღებს, ეს კი კვალიფიციური მუშაობის სტიმულს იძლევა.

კოოპერატივის წევრებზე არანაკლებ ნასიამოვნებნი რჩებიან მომხმარებლები, რომლებიც მოხდენილ ნაწარმ-ნახელავს ხელსაყრელ ფასებში იძენენ, საქონლის ფასი სახელმწიფო ფასებს არ აღემატება, ზოგიერთი მათგანი შეიძლება უფრო იაფიც იყოს.

რით მიაღწია კოოპერატივმა ასეთ წარმატებებს? პირველ ყოვლისა ეს განაპირობა კოოპერატივის დამაარსებლის ინჟინერ ნათელა ბობოხიძის კომერციულმა ნიჭმა, კოლექტივის წევრთა ერთსულოვანმა მუშაობამ, რაიონული საბჭოს აღმასკომის დიდმა მხარდაჭერამ. — ვგონებ ასე გულიანად არც ერთ კოოპერატივს დახმარებიან, როგორც ჩვენ. „რადონი" პირველი მერცხალია წყალტუბოს რაიონში, — გვითხრა ნათელა ბობოხიძემ.

კოოპერატივი უმთავრეს მოგებას ნედლეულის იაფად შეძენის შედეგად ღებულობს. რესპუბლიკის სამკერვალო ფაბრიკებიდან იგი იძენს ნაირ-ნაირი სახის ქსოვილისა და ტყავის ნარჩენებს. ეს ნარჩენები ფაბრიკისათვის გამოუსადეგარია. „რადონში" კი იშვიათი ხელმარჯვეობით კერავენ მოხდენილ, მოდურ ტანსაცმელს.

კოოპერატივი კოლმეურნეობის ყოფილ კანტორაშია დაბინავებული. შენობა გარეგნულად არ არის მიმზიდველი. შიგნით შეხვალთ და უკეთესი მდგომარეობა დაგხვდებათ — ახლადგარემონტებული, ნათელი, ფართო ოთახები, გემოვნებით გამოფენილი მოდური ტანსაცმელი; ეზოც, რომელიც ადრე გახრიოკებული იყო, ახლა საგულდაგულოდ არის მოვლილი. დარგეს ხეები, დათესეს ბოსტნეული. კოოპერატივს აქვს საკუთარი სასადილო, კოლექტივის წევრებს აქ უფასოდ უმასპინძლდებიან.

როგორც „რადონის" თავმჯდომარემ გვითხრა, მომავალში უფრო გაფართოვდებიან. მათთვის უკვე გამოყოფილია წყალტუბოს შესასვლელთან მოზრდილი ტერიტორია. კოოპერატივი ფეხსაცმლის წარმოებასაც აპირებს. უნდათ, მიიზიდონ ფეხსაცმლის მკერავი ოსტატები. წევრთა რიცხვი, როგორც ვარაუდობენ, ასამდე გაიზრდება. რა თქმა უნდა, ახალი შენობა დასჭირდებათ. შენობას თავიანთი სახსრებით ააგებენ, ასევე თავიანთ სახსრებს მოახმარენ საკუთარი ბაგა-ბაღის მშენებლობას, სადაც კოოპერატივში გაერთიანებულ მშრომელთა შვილები ივლიან. ფიქრობენ საკუთარი მეურნეობის მოწყობასაც, მოიწევენ სხვადასხვა სახის ბოსტნეულს, მოამრავლებენ ფრინველს, ღორს.

წლეულს სამ თვეში კოოპერატივმა სახელმწიფოს საკმაოდ სოლიდური მონაგებიდან 36000 მანეთი გადაურიცხა, ხოლო აპრილიდან ბავშვთა ფონდში ყოველთვიურად ორი ათას მანეთს რიცხავენ.

„რადონი" ამართლებს თავის დანიშნულებას, — იგი თანაბრად სასარგებლოა როგორც ხალხისათვის, ისე მასში გაერთიანებული ადამიანებისათვის. მისაბაძი და სამაგალითო კოოპერატივის გამოცდილების გასაზიარებლად აქ შორეული რაიონებიდანაც მოდიან.

**მანანა ზარიძე**







კოოპერატივ „რადონის" წევრები: ი. ჩოლოვაძე, ი. ბალანჩივაძე და ქ. ცერცვაძე თავიანთ ნახელავს უკეთებენ რეკლამას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯანმრთელობის კერები

## ინტერვიუ საქართველოს სსრ პროფსაბჭოს მდივანთან ამხ. ზ. კვაჭაძესთან

**მოზარდი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდაში დიდი ადგილი უჭირავს ახალგაზრდობის გონივრულ დასვენებას, მათ ფიზიკურ წრთობა-გაჯანსაღებას, რაშიც მნიშვნელოვანი მოვალეობა ეკისრება პროფკავშირულ ორგანიზაციებს. ამიტომ ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა საქართველოს სსრ პროფსაბჭოს მდივანს ამხ. ზ. კვაჭაძეს და სთხოვა რამდენიმე კითხვაზე ეპასუხნა.**

* * *

— საკურორტო ზაფხულის პრობლემა ყველა ოჯახში მთავარია. ის კითხვა — სად წავიყვანოთ, სად დავასვენოთ ბავშვები გადაუდებელ გადაწყვეტას მოითხოვს ყოველთვის. ამიტომ გვაინტერესებს, წლეულს რა მდგომარეობაა საოჯახო დასვენების მხრივ?

**— საქართველოს მთისა და ზღვის კურორტებზე გათვალისწინებულია დედათა და ბავშვთა 19 დასასვენებელ სახლში დაისვენოს 46940 დამსვენებელმა.**

**ზღვის კურორტებზე, აფხაზეთისა და აჭარის დასასვენებელ სახლებში — „ლესელიძეში“, „აგუძერაში“, „გუმისტაში“, „მზიურში“, „მწვანე კონცხზე“, ბორჯომში — „კეჩხობში“, „ბორჯომ-პლატოზე“ და რესპუბლიკის სხვა დასასვენებელ სახლებში ათასობით დედასა და ბავშვს მიიღებენ.**

— ამბობენ, რომ 1988 წლის საკურორტო სეზონი გარდამტეხი იქნება და რესპუბლიკის ჯანმრთელობის კერებში გატარებულ დროს დამსვენებლები მადლიერებით მოიხსენიებენო?

**— 1988 წელს საკურორტო სეზონი გარდამტეხი იქნება დედათა და ბავშვთა დასვენებაშიც.**

**საქართველოს სსრ პროფსაბჭოსთან ერთად დასასვენებელი სახლების ხელმძღვანელებმა ყველაფერი იღონეს, რათა წლევანდელი ზაფხული მკვეთრად განსხვავდებოდეს გასული სეზონებისაგან როგორც მომარაგებით, ისე სხვა მიმართულებით: იყოს წესრიგი, სისუფთავე, უმაღლესი ხარისხის კერძები, კარგი მომსახურება, ყურადღება და მეთვალყურეობა ბავშვებზე, რომლებიც სხვადასხვა ადგილებიდან ჩამოვლენ. ამიტომ ერთიორად გაძლიერდება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და მთელი ყურადღება დაეთმობა გარდატეხის ასაკის ბავშვებს.**

— მოგეხსენებათ, დედების უმეტესობა მუშაობს. ზაფხულის არდადეგები მოსწავლეებს სამი თვე აქვთ. ბუნებრივია, მომუშავე დედას ამდენხანს არავინ გაანთავისუფლებს. ამიტომ დედების ნაწილი ირჩევს ბავშვი პიონერთა ბანაკში გააგზავნოს. რა მდგომარეობაა პიონერთა ბანაკებში და რამდენი მოსწავლე დაისვენებს?

**— ყოველ წელს უმჯობესდება პიონერთა ბანაკებში მოსწავლეთა საზაფხულო დასვენების ორგანიზაცია, იზრდება, ბანაკების რიცხვი და დამსვენებელ ბავშვთა რაოდენობა.**

**მეათე ხუთწლედის პირველ წელს რესპუბლიკაში მოქმედებდა 376 ყველა ტიპის ბანაკი, რომლებშიც დაისვენა 115 ათასმა მოსწავლემ, მეთერთმეტე ხუთწლედში მოქმედებდა 1160 ბანაკი და დაისვენა 200 ათასმა ბავშვმა, 1988 წლის ზაფხულში 1349 სხვადასხვა ტიპის პიონერთა ბანაკში დაისვენებს 250 ათასი მოსწავლე.**

**მიუხედავად ამისა, საკავშირო მაჩვენებლებს მაინც ჩამოვრჩებით, ამიტომ საქართველოს პროფსაბჭომ შეიმუშავა პიონერთა ბანაკების განვითარებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ფართო გეგმა.**

**დიდი რეზერვებია უფროსკლასელთათვის შრომისა და დასვენების ტიპის ბანაკების ორგანიზაციის საქმეში. ასეთი ტიპის ბანაკები მოწყობილი იყო კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში და ვფიქრობთ მომავალში უნდა გაფართოვდეს.**

**პიონერთა ბანაკების ქსელის გაფართოებასთან ერთად უნდა იზრდებოდეს პიონერხელმძღვანელთა და პედაგოგთა რიცხვი, მათი მომზადების დონეც, ვისაც ვანდობთ ბავშვებს, ვინც ჩვენს შვილებთანაა თითქმის ორი თვე.**

**პიონერთა ბანაკებში ბავშვების მიერ გატარებული დღეები უნდა იყოს შინაარსიანი, მაღალიდეური, საინტერესო, მრავალფეროვანი, აი მაშინ იქნება ბანაკი ბავშვებისათვის დაუვიწყარი.**

— საკურორტო ზაფხულში რა შეღავათებია მრავალშვილიან და მარტოხელა დედებისათვის?

**— მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს საზაფხულო დასვენებისთვის საგზურები ეძლევათ მოთხოვნისთანავე, რა თქმა უნდა, მოთხოვნა ადრე უნდა იყოს შემოტანილი და არა საგზურების განაწილების წინ. ვფიქრობთ, მომავალში უფრო დაიხვეწება და გაფართოვდება მრავალშვილიანთა და მარტოხელა დედათა დასვენების ფორმები.**

საუბარი ჩაიწერა
ირმა ჩოფიკაშვილმა



საჩხერის რაიონი. კურორტი კვერეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# უწამლოდაც მოგვარჩენს

ვინც ბრძოლის ველზე მტერთან პირისპირ შერკინებაში როყიო ტყვიას დაუშანთავს და ყიჟინით წინ წასულ მებრძოლებს ვეღარ გაჰყოლია, მას არასოდეს დაავიწყდება იმ თეთრხალათიანთა გულის სითბო, მეომართა სიცოცხლის გადასარჩენად, მათ იმედად რომ ტრიალებდნენ ტყვიის წვიმაში და საკუთარ სიცოცხლეს საფრთხეში აგდებდნენ.

ახლა, თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ, როცა უკვე დაძაბუნდა იმ ტალიკ-ტალიკი ბიჭების მუხლიც და მკლავიც მათი სიცოცხლის გახანგრძლივების იმედად თბილისში არსებობს ყოფილ მეომართა ჰოსპიტალი, სადაც ყველა ექიმი და მათ შორის მარინე ანთაძე მთელი მონდომებით იღვწის იმისათვის, რომ ომგადახდილებმა ჯანმრთელად იცოცხლონ.

აი რა გვითხრა მარინეს მუშაობის შესახებ ჰოსპიტლის კარდიოლოგიური განყოფილების გამგემ ტარიელ ნამორაძემ.

— მარინე ანთაძე, მეორე წელია, რაც ჩვენს ჰოსპიტალში მოვიდა. ახალგაზრდა კარდიოლოგი გამოირჩევა ორგანიზებულობითა და შრომისმოყვარეობით. გულით განიცდის ავადმყოფის ტკივილსა თუ სიხარულს. იგი ჰოსპიტლის სამედიცინო საბჭოს მდივანიც არის. მე, როგორც განყოფილების გამგეს, ყოველთვის მაქვს მისი იმედი და მჯერა, რომ საქმეს არასოდეს უღალატებს.

განყოფილების გამგის ამ სიტყვებს მარინეს მორიგეობის ერთი დღეც ადასტურებს. მართალია, იმ დღით მთელ ჰოსპიტალს მეთვალყურეობდა, მაგრამ პალატაში მწოლიარე ავადმყოფებსაც არ მოკლებია მისი ყურადღება. ზამთრის გრძელი ღამე მორიგე ექიმს უძილო თვალებზე ჩამოადნა. დილით კი თავისი ჩვეული ენერგიით განაგრძო მუშაობა, შინ წასვლის წინ თავისი ავადმყოფები მაინც ხალისით მოგვინახულა და ყველას საჭირო რჩევა მოგვცა.

დიდი სამამულო ომის ცეცხლში ხიფათით აღსავსე გრძელი გზა გაუვლია გარდაბნელ მუსეიბ ორუჯოვს. მტრის ტყვიის „გემოც" გაუსინჯია და ყუმბარების ნამსხვრევებისაც. თეთრხალათიან „მეომრებს" მეორედ უჩუქებიათ მისთვის სიცოცხლე, მაგრამ... ადამიანობას გეფიცებით, — მითხრა მუსეიბმა, — ამ სიბერის დროს მესამედ მაჩუქა სიცოცხლე მარინე ექიმმა. ცოტა უკეთესად, რომ ვიგრძენი თავი, სახლში გაწერა ვთხოვე, უარი მითხრა: სანამ მთლიანად არ გამოჯანმრთელდები მაგაზე არ იფიქრო, ადამიანს სიცოცხლე ერთხელ ეძლევა და პირველ რიგში მას უნდა გაუფრთხილდესო. სულ ამისთანა ექიმები რომ გვყავდეს, ალბათ ავადმყოფობაც იშვიათი შემთხვევა იქნებოდა.

ივანე ალენიკოვი მცხეთის რაიონიდან ჩამოსულა სამკურნალოდ.

— შესანიშნავი ადამიანია მარინე ექიმი. ისე გვექცევა და გვესაუბრება, რომ უწამლოდაც მოგვარჩენს. თუ საჭიროა სხვა ექიმთანაც წაგიყვანს. გაგასინჯებს და გულს დაგიმშვიდებს; ცოტახანს კიდევ რომ იმუშავებს მაგას თავის სპეციალობაში ბადალი არ ეყოლება, — მითხრა ივანემ.

... ერთ ავადმყოფს წამალი შეება, მძლავრმა რეაქციამ გუნება დაუმძიმა. თავი ცუდად იგრძნო. ექიმმა კვლავ დაკვირვებით გასინჯა. წამალი შეუცვალა და ავადმყოფმა მალე თავი კარგად იგრძნო.

— როცა უგუნებობა შემატყო, — ყვებოდა ავადმყოფი — მთელ დღეს თავს დამტრიალებდა, საღამოს, უკეთესად რომ შევიქენი სახეზე ისეთი ნათელი მოეფინა, როგორც მორწმუნეს სახატესთან დანთებული კანდელის წინაშე. გაიხარა, კარგად ბრძანდებითო მითხრა.

— მარინე, ექიმის პროფესია პრესტიჟის გულისათვის აირჩიეთ თუ,... ვკითხე მოკრძალებით.

— ბავშვობაში ხშირად ვთამაშობდი ექიმობანას. ერთხელ ძველ ხელჩანთას წითელი ჯვარი გავუკეთე. ავავსე წამლის შუშებით, უბნის გოგო-ბიჭებს მოვუყარე თავი და დავიწყეთ ექიმობანას თამაში. იმ დღიდან ექიმი ყოველთვის მე ვიყავი ხოლმე.

ერთხელ ჩემი პატარა და დავაწვინე. ავად ხარ და უნდა გაგსინჯომეთქი. გასინჯვის დროს თურმე ისე ვგავდი ექიმს, რომ ჩემს დას შეეშინდა და შემეხვეწა ნემსი არ გამიკეთოო, თუმცა არც ნემსი მქონდა და არც ავად იყო ჩემი და. ამ ფაქტმა ჩემს გულში კიდევ მეტად გააღვივა ოცნება, უთუოდ ექიმი გამოვსულიყავი. საშუალო სკოლის დამთავრებისას გამოსაშვებ საღამოზე ამხანაგებმა, რომელთაც იცოდნენ ჩემი სურვილი, იუმორისტული ნახატი მომართვეს. ვეებერთელა ურიკაში მრავალ სამედიცინო იარაღებთან ერთად უზარმაზარი შპრიცი ჩაეხატათ. მისაღები გამოცდები ვოლგოგრადის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ჩავაბარე. ამ ინსტიტუტში სწავლება კარგ დონეზეა და მაღალკვალიფიციურ ექიმებს ამზადებს. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ათასსაწოლიან კლინიკაში კარდიოლოგიური განყოფილების ექიმად დავიწყე მუშაობა. შემდეგ ორ წელიწადს ვიმუშავე მოსკოვის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში, მერე კი ვოლგოგრადის სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკური ფარმაკოლოგიის კათედრაზე ასისტენტი გახლდით.

ახალგაზრდა სპეციალისტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის შესანიშნავი მეოჯახე და დედაა, ადამიანთა სიცოცხლის მუდმივი დარაჯი, სამშობლოს ორ ვაჟკაცსაც უზრდის.

გიორგი გოჩიტაშვილი

# მომღერლის პოპულარობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფროსი და საშუალო თაობის თბილისელებს ალბათ კარგად ახსოვთ ეთერ გვაზავას და ციცინო ციცქიშვილის დუეტი, რომლებიც შესანიშნავად ასრულებდნენ საესტრადო სიმღერებს. ამ ორ მომღერალს მუდამ სიყვარულითა და სითბოთი ხვდებოდა დარბაზი, მაგრამ... გარდაიცვალა ეთერ გვაზავა და დუეტიც დაიშალა.

კომპოზიტორი სანდრო მირიანაშვილი დიდხანს ეძებდა ეთერის შემცვლელ მომღერალს, თუმცა უშედეგოდ. და აი, ერთ დღეს, საქართველოს ფილარმონიის კონცერტმაისტერმა რ. გლეზერმა ციცინო ციცქიშვილს ახალგაზრდა მომღერალი ნათელა მკერვალიძე გააცნო.

დაიწყო რეპეტიციები. ნათელამ სულ მოკლე დროში გაართვა თავი ამ საპატიო მისიას. ახალი დუეტის ხმები ისე ერწყმოდა ერთმანეთს, როგორც ადრე. სანდრო მირიანაშვილი აღტაცებული იყო. მან რამდენიმე სიმღერა საგანგებოდ დაწერა დუეტისათვის.

იმ პერიოდში საქართველოს კომპოზიტორთა პლენუმი მიმდინარეობდა. ფორუმში მონაწილეობდნენ როგორც მუსიკოსები, ისე მომღერლები, მათ შორის ახლადშექმნილი დუეტიც. ნათელა მკერვალიძისა და ციცინო ციცქიშვილის მიერ შესრულებულმა სიმღერებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მსმენელთა ოვაციებს დასასრული არ უჩანდა. ეს იყო პირველი დიდი გამოცდა, რომელიც წარმატებით ჩააბარეს. მას შემდეგ დუეტმა ასობით კონცერტი გამართა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ.

1964 წელს ჩატარდა კონცერტები ბულგარეთის დიდ ქალაქებში. კონცერტებში მრავალი ქვეყნის მომღერლებთან ერთად მონაწილეობდა ჩვენი შესანიშნავი დუეტიც. ქართველ მომღერლებს დიდი წარმატება ხვდათ წილად. ბულგარეთის გაზეთებმა ხოტბა შეასხეს მათ გამოსვლებს. ნათელა მკერვალიძისთვის ეს პირველი საგასტროლო მოგზაურობა იყო საზღვარგარეთ.

მომდევნო წელს იყვნენ კუბაში, შემდეგ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში... ყველგან, სადაც დუეტს უხდებოდა გამოსვლა, ოვაციებითა და მადლობებით ხვდებოდნენ.

ფეხბედნიერი გამოდგა 1967 წელი. ნათელა მკერვალიძეს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა.

მართალია, ესტრადამ დიდი პოპულარობა მოუტანა ნათელას, მაგრამ მას ბავშვობიდანვე საოპერო ხელოვნება იტაცებდა. ამიტომაც იყო, რომ 1956 წელს საშუალო სკოლაში სწავლის პარალელურად მოეწყო დიმიტრი არაყიშვილის სახელობის მუსიკალური სასწავლებლის ვოკალურ განყოფილებაზე პედაგოგ მ. დოკუდოვსკაიას კლასში. ამ შესანიშნავმა პედაგოგმა დიდი ზეგავლენა მოახდინა მომავალ მომღერალზე.



ვაგნერის „ლოენგრინი". ელზა — ნათელა მკერვალიძე.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ნათელამ მუშაობა დაიწყო წარმოებაში. მუსიკალური სწავლება მჭიდროდ დაუკავშირა შრომას. თავდაუზოგავი შრომისმოყვარეობა, რომელიც ნათელა მკერვალიძისთვის ასე დამახასიათებელია, შემდგომ წლებშიც იჩენს თავს.

ყოველდღიური, დაძაბული მეცადინეობის შედეგად ქალიშვილმა ბრწყინვალედ ჩააბარა გამოცდები თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ვოკალურ განყოფილებაზე. და კვლავ ის თავდაუზოგავი შრომისმოყვარეობა — ნათელა კონსერვატორიაში სწავლის პარალელურად საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიაში საკონცერტო მოღვაწეობას ეწევა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ კამერული და საოპერო ხელოვნება მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. კამერული ნაწარმოები დიდად უწყობს ხელს საოპერო მომღერლის დაოსტატებას. ნათელამ კარგად იცოდა ეს, სწორედ ამიტომაც გამართა მე-5 კურსზე ყოფნისას სოლო კონცერტი, რომლის მომზადებაში ეხმარებოდა კონცერტმაისტერი, პროფესორი მარია კამოევა. პრესაში აღინიშნა: „...რთული და საინტერესო პროგრამით წარსდგა მსმენელთა წინაშე ნათელა მკერვალიძე. კარგი სცენური მონაცემები, სუფთა სამომღერლო სოპრანო, რომელიც თანაბრად ჟღერს ყველა რეგისტრში, კარგი ვოკალიზაცია, სიმსუბუქე, პლასტიკურობა, შესრულების ბუნებრივი მანერა — ასეთია მომღერალი მკერვალიძე, რომელიც გამოკვეთილად ასრულებს გლინკას, ჩაიკოვსკის და სხვა კლასიკოსების რომანსებს. მსახიობი ასევე ოსტატურად ასრულებს კამერულ ნაწარმოებებსაც. ნათელა მკერვალიძემ გამოამჟღავნა კარგი ვოკალური და მუსიკალური მომზადება". ასეთი რეცენზია ნებისმიერი ახალგაზრდა მომღერლისათვის საამაყო და საპატიოა.



ვერდის „დონ კარლოსი". ელიზავეტა — ნათელა მკერვალიძე

1969 წელს ნათელა მკერვალიძემ დაამთავრა კონსერვატორია და ჩაირიცხა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში. დადგა დებიუტის დღეც. იდგმებოდა ზ. ფალიაშვილის „დაისი" და მაროს პარტიას ნათელა მკერვალიძე ასრულებდა. ეს ხომ მისი სადიპლომო ნამუშევარიც იყო. დებიუტანტი გულთბილად მიიღო მაყურებელმა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნათელა მკერვალიძემ შექმნა საკუთარი ხელწერის მარო.

1972 წელს დაიდგა ნ. ლისენკოს ოპერა „ტარას ბულბა". მარიცას — მთავარ როლს ასრულებდა ნ. მკერვალიძე. აი, რა აღნიშნა უკრაინის ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ: „როგორც ვოკალურად, ისე სცენიურად ბრწყინვალედ შეასრულა მარიცას პარტია საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა ნათელა მკერვალიძემ.

საოპერო თეატრში მცირე ხნით მუშაობის მიუხედავად, ნ. მკერვალიძე სისტემატურად იღებდა მონაწილეობას მთელ რიგ დადგმებში. 1969 წლიდან დღემდე მომღერალმა დიდი მონდომებითა და სიყვარულით შეასრულა მრავალი საოპერო პარტია, როგორიცაა: მზია — (ო. თაქთაქიშვილის „მინდია"), ქეთო — (ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე"), მწყემსი ქალი — (ს. ცინცაძის „განდეგილი"), ლელა — (რ. ლაღიძის „ლელა"), ამრა — (ა. ბალანჩივაძის „ოქროს ქორწილი"), ტატიანა — (ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი"), ლეონორა — (ვერდის „ტრუბადური"), ჯილდა — ვერდის „რიგოლეტო"), ჩიო-ჩიო-სანი — (პუჩინის „ჩიო-ჩიო-სანი") და სხვა.

ნათელა მკერვალიძემ ოცი ნამყვანი პარტია შეასრულა. რამდენი ადამიანური გრძნობა, ემოცია და განცდაა ჩაქსოვილი თითოეულ მათგანში. მართლაც, ძნელია მოიძებნოს მომღერალი, რომელმაც ასე მოკლე დროში მოამზადა ამდენი ნამყვანი პარტია.

ნათელა მკერვალიძე ყოველწლიურად იღებს მონაწილეობას ამიერკავკასიის რესპუბლიკების მომღერალთა კონცერტებში. ეს კონცერტები საშეფოდ ითვლება და ძირითადად ამიერკავკასიის ჯარების მეომრებისათვის ტარდება. არ ყოფილა შემთხვევა, რომ მომღერალს არ მოეხიბლოს მსმენელი აუდიტორია. ამასთანავე, იგი ხშირად მოგზაურობს ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში, მართავს კონცერტებს. ეს რა თქმა უნდა, უფრო ზრდის მომღერლის პოპულარობას.

1978 წელს მომღერალს საქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდება მიენიჭა. ნ. მკერვალიძის ოცნებაა, რომ მისი ერთადერთი ქალიშვილი ლელა, რომელმაც შარშან დაამთავრა კონსერვატორიის ვოკალური განყოფილება, დედის კვალს გაჰყვეს.

...წინ არის შრომით აღსავსე დღეები, ახალი შეხვედრები მსმენელებთან, ტაში და ყვავილები, რომელიც ასე სჭირდება შემოქმედს.

მღერის ნათელა მკერვალიძე და თავისი წვლილი შეაქვს ჩვენი ქვეყნის ხელოვნების განვითარების საქმეში.

თამარ გომართელი

მზია ჩხეტიანი,
პოეტი.

# მამის ავტორიტეტი

ალბათ რამდენი პოეტიც არის ამ ქვეყანაზე, ორჯერ იმდენი ლექსი მაინც დაწერილა დედაზე, მამაზე კი შედარებით იშვიათად იწერება. ერთი შეხედვით, ეს თითქოს ბუნებრივია, დედა უფრო ახლოს არის შვილებთან. დედა ათენებს და აღამებს ავადმყოფი შვილის სასთუმალთან, ის ილევიძებს ღამე მაშინაც კი, როცა ბალღი ჯანმრთელია და მის სუნთქვას შიშით და ეჭვით მიაყურადებს ხოლმე. დიახ, ასეთები არიან დედები. მეცნიერები ამბობენ, ეს დედური ინსტიქტიაო, თანდაყოლილი, ბუნებისაგან ბოძებული. მამაკაცი კი სხვანაირია. მისი ბუნება, თითქოს, უფრო მკაცრია. ალბათ, აქ სადავოც არაფერია, შემთხვევითი ხომ არ არის, გოგონები რომ გატაცებით თამაშობენ სახლობანას, ბიჭები კი ომობანას გააჩაღებენ ხოლმე და დაერევიან ერთმანეთს.

მაგრამ ცოტა როდია ისეთი მამა, რომელიც გასაოცრად ყურადღებიანია, უფრო მეტად მზრუნველი და მგრძნობიარეც კი, ვიდრე ზოგიერთი დედა. თუმცა, მამათა უმრავლესობა თვლის, რომ მათი ვალია მატერიალურად უზრუნველყონ ოჯახი, შვილები, არ მოაკლონ საჭმელ-სასმელი, ჩასაცმელ-დასახური, დანარჩენი კი მათ არ ეხებათ! ეს მცდარი შეხედულებაა და ამის შედეგი გახლავთ, რომ მამაკაცებს თავიანთ საქმედ არ მიაჩნიათ შვილის აღზრდაში მონაწილეობა.

ქალი ცხრა თვე ელის შვილის დაბადებას, გრძნობს მის თითოეულ გაფაჩუნებას, ახალი სიცოცხლის ფეთქვას, და ამ სიცოცხლის მოლოდინში უდრტვინველად იტანს საშინელ ფიზიკურ ტკივილებს, მას ავადმყოფობამ, ან სხვა რაიმე მიზეზმა რომ შეუშალოს ხელი შვილის მოვლაში, პირმშო მაინც ძალიან უყვარს. მამა კი, თუ თანდათან არ შეეჩვია ბავშვს, მზრუნველობა, ამაგი არ გასწია მასზე, არ გახდა მისი აღზრდის უშუალო მონაწილე, ვერ იგრძნობს იმ მშობლიური სიყვარულის ძალამოსილებას, რაც დედებს თავსითავად ახასიათებთ...

დავაკვირდეთ, რამდენი ოჯახი იქმნება და ყალიბდება ჩვენს თვალწინ! მეტწილად ახალგაზრდა მამაკაცები დიდი სიყვარულით ირთავენ თავიანთ გულის რჩეულებს და ბედნიერების შეგრძნებით იწყებენ ოჯახურ ცხოვრებას. მაგრამ აი, გაუჩნდებათ შვილები — ერთი, მეორე... რაც, ცხადია ართულებს მათ ცხოვრებას და მიუხედავად იმისა, რომ ვაჟს უყვარდა ქალი ქორწინებამდე და, ქორწინების შემდეგაც, ზოგ შემთხვევაში ვერ ახერხებს (ანდა თავს არ ინუხებს), კარგი მამა და მეუღლე გახდეს. არც თუ იშვიათად, სწორედ ეს ხდება მიზეზი იმ უთანხმოებისა, ახალგაზრდა ცოლ-ქმარს შორის რომ იჩენს ხოლმე თავს.

ჩვენ სიყვარული ვახსენეთ — „უყვარდა ქორწინებამდე და თითქოს შემდეგაც", მაგრამ იქნებ სწორედ სიყვარულის არასწორი გაგებაა აქილევსის ქუსლი ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში! სიყვარული ხომ იმას ნიშნავს, რომ შეგეძლოს იცოცხლო მხოლოდ და მხოლოდ იმ ადამიანისათვის, რომელიც გიყვარს! აკეთო ყველაფერი ის და ისე, როგორც მას უნდა, როგორც მას მოსწონს და გაუხარდება.

თუმცა ჩვენი დღევანდელი საუბრის თემა ეს არ გახლავთ, მაგრამ ცოლ-ქმრული სიყვარულის სწორად გაგებაზე დიდად არის დამოკიდებული ოჯახის შემდგომი ბედი და, პირველ რიგში, რასაკვირველია, შვილების ბედი!

თუ მეუღლეებს არ შეუძლიათ რაღაც წვრილმანი სიამოვნებანი დასთმონ ერთმანეთისათვის, ისინი ვერც შვილებისათვის გააკეთებენ ამას! და ასე მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ ეს ადამიანები ასეთები არიან ბავშვობაში მიღებული ჩვევებისა თუ შესაძლოა რაღაც გენეტიკური კოდის წყალობითაც. ასეთი ადამიანი ცოლს ირთავს არა მხოლოდ თავდავიწყებამდე მისული სიყვარულის გამო, არამედ თითქოს ერთგვარი აუცილებლობითაც, რაც ბუნებისა და საზოგადოების მიერ არის დაკანონებული: შექმნას ოჯახი, გააჩინოს შვილები როგორც ყველამ და ა. შ.

მაგრამ იყო მამა, იყო მშობელი — ეს მოითხოვს იმის აუცილებლობას, რომ შეგეძლოს ზოგჯერ პირადული სიამოვნება დასთმო შვილისათვის. ყოველ შემთხვევაში საჭიროების დროს შესძლო შვილისთვის მსხვერპლის გაღება! ეს მსხვერპლი კი ყოველდღიური წვრილმანით გამოიხატება. სხვათა შორის, ვფიქრობ, მშობელმა ტელევიზორის ყურების სიამოვნებაც უნდა მოიკლოს მაშინ, როდესაც ბავშვს სამეცადინო აქვს, სჯობია ამ დროს რაიმე საქმე გამონახოს, ან სულაც ბავშვს დაეხმაროს მეცადინეობაში. საბოლოო ჯამში, მას ეს საქმე უფრო დიდ სულიერ სიმშვიდესა და სიამოვნებას მიანიჭებს, ვიდრე რაიმე გადაცემის, ან თუ გნებავთ, საყოველთაოდ ცნობილი ფილმის ცქერა.

ნინდახედული და ავტორიტეტული მამა იმასაც შესძლებს, რომ ყველაფერი თავის დროზე და საჭირო დონეზე იყოს მის ოჯახში, ამ შემთხვევაში ისევ და ისევ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად ესმის მამაკაცს მისი მოვალეობა, რა უნდა გააკეთოს შვილებისათვის გარკვეულ ეტაპზე თუ სამომავლოდ. უნდა ითქვას, რომ ამგვარ დამოკიდებულებებში ცოლ-ქმარი ხშირად რადიკალურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. თუ ცოლი იმ მიზეზით, რომ ბავშვების მარტო დატოვება უჭირს, ხშირად უარს ამბობს სადმე, ვთქვათ, ნვეულებაზე ნასვლაზე, თანამშრომლებთან ან რომელიმე მეგობართან ერთად ფილმის ან ახალი სპექტაკლის ნახვაზე, რადგან იცის, რომ სიამოვნების ნაცვლად მხოლოდ სინანულსა და გულისტკივილს იგრძნობს, ბავშვების დარდი არ მოასვენებს, — ქმარი ამ სიამოვნებებს არ მოიკლებს, მას ისედაც, სრულიად უმნიშვნელო მიზეზით, შეუძლია სადმე დაყოვნდეს.

— რატომ იგვიანებ, ხომ ხედავ, ბავშვი არ არის კარგად!

— მერე შენ აქ არა ხარ? მე რა, ექიმი ვარ, თუ!

— კი, მაგამ, გული როგორ გითმენს, უცბად რაიმე რომ მოუვიდეს?

— შენ ისეთი ხარ, არაფერს გაუჭირვებ!

იქნებ ასეც იყოს, მაგრამ დედა და მამა ერთმანეთს მაინც ვერ შეცვლიან ბავშვისათვის. ბავშვს ორივე სჭირდება, რადგან მათ ორივეს თავისებურად განსხვავებული, სრულიად სპეციფიკური ფუნქცია აკისრიათ შვილების წინაშე, ისევ და ისევ მათი განსხვავებული ბუნებიდან გამომდინარე.

— ისე არაფერს აკლებს შვილებს და რა ვუყოთ ახლა, თუ თავზე არ ადგას, ამხანაგები უყვარს, უბრალოდ, ხასიათი აქვს ასეთი...

კი, მაგრამ საიდან მოდის ასეთი ხასიათი? — ისევ და ისევ არასწორი აღზრდიდან, ისიც არაა სწორი, კაცმა რომ დაიჟინოს, ასეთი ვარ და რა ვქნა, ვერ გადავკეთდებიო. ადამიანს შეუძლია და ვალდებულიც არის, ებრძოლოს საკუთარ თავში ამა თუ იმ ჩვევასა და მიდრეკილებას. ჭეშმარიტი პიროვნება ყოველთვის ცდილობს სრულჰყოს საკუთარი თავი.

— შევევლო ერთი სკოლაში, გაგეგო ბავშვების ამბავი, რას შვრებიან, როგორ სწავლობენ, როგორ იქცევიან! ხომ ხედავ, ველარ ვასწრებ ყველაფერს.

— კარგი ერთი, ხომ იცი, არ მიყვარს მასწავლებლებთან სიარული, ეგ შენ უფრო გეხერხება...

სხვათა შორის, ზოგიერთ მამას ბავშვის საბავშვო ბაღიდან გამოყვანაც ეთაკილება, რადგან ფიქრობს, თითქოს ესეც მხოლოდ დედის მოვალეობაა.

აი, სწორედ აქ ცდებიან ისინი, როცა საქმე ბავშვს, შვილის აღზრდას ეხება, არ უნდა არსებობდეს ქალის და კაცის საქმე, მით უმეტეს, რომ დღეს ქალიც ისევე შრომობს, როგორც მამაკაცი, ზოგიერთ ქალს მეტად საპასუხისმგებლო საქმეც კი ავალია, მაგრამ ოჯახში ის გაცილებით მეტად არის დატვირთული, ვიდრე მისი ქმარი!

— რა კარგი კაცია ეს მალალდაძეების მამა! როგორ ტრიალებს ოჯახში, როგორ ეხმარება ცოლს, სულ ბავშვებთან არის, იშოვის თუ არა თავისუფალ დროს, — დაუფარავი გულისტკივილი ისმის ქმრით უკმაყოფილო მეუღლის ხმაში.

— აი, მაგ მალალდაძეების ბავშვები გაუბედავენ მამას, რასაც მე ეგენი მიბედავენ! — ათჯერ რომ ვკითხო რამე, პასუხს არ მაღირსებენ! ასეთები არიან შენი გაზრდილი შვილები!

— შენგან იღებენ მაგალითს! ასჯერ რომ გთხოვ და გეხვეწები, გამიგონებ რამეს?

არც ცოლი უთმობს ქმარს და ვიდრე ისინი ურთიერთობებს არკვევენ, ბავშვები დაძაბულნი, უსიამოვნო განწყობილებით შეპყრობილნი შესცქერაინ მათ დავას.

თუმცა ქალსაც ერთგვარი თავშეკავება მართებს, მაგრამ მამა ვალდებულია თავისი ოჯახის, თავისი შვილების ინტერესებისათვისაც ცხოვრობდეს.

მშობლებისა და ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მამების როლსა და დანიშნულებაზე საუბარი შემთხვევით არ წამოგვიწყია — ეს მეტად მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომლის უგულვებელყოფამ არა ერთსა და ორ სავალალო შედეგამდე მიგვიყვანა და ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ ვაჟისა თუ ქალის — მომავალი მეუღლეების საოჯახოდ მომზადება პატარაობიდანვე უნდა იწყებოდეს. დარწმუნებით შეიძლება ითქვას რომ იქ, სადაც ეს ხერხდება, მომავალ, ჯანსაღ ოჯახებს ეყრება საძირკველი.

და ბოლოს, ჩვენი ცხოვრების ძირეული გარდაქმნის, ჩვენი შემდგომი წინსვლისა და აღმავლობის უპირველესი პირობის — ადამიანის აღზრდის უმნიშვნელოვანესი კერა ხომ ოჯახია, საიდანაც უნდა ფრთიანდებოდეს მომავლის მშენებელი ახალი ადამიანი, ხოლო მისი სასიკეთო გზის გაკვალვა მშობლების — როგორც დედის, ისე მამის არამარტო მოვალეობა, სასიცოცხლო დანიშნულებაა.

1845



# გვმასპინძლობს სიცილის საღამოზე

დიდი ხანი ელოდა ფილარმონიის მსახიობი და იუმორისტი ავტორი მზია კვირიკაშვილი მშობლიური ქალაქის საზოგადოებასთან შეხვედრას. თბილისელებიც არანაკლებ მოთმინებით ელოდნენ სიცილის იმნაირ პაემანს, ამას წინათ რომ გაიმართა ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში. ეს იყო ამ ნიჭიერი ქალის შემოქმედებითი ანგარიში თოთხმეტი წლის შრომის, გარჯის, ძიების, კვლევისა და მიღწევის, ალიარებისა და გამარჯვებების გზაზე. საქართველოს ყველა რაიონში, მოძმე რესპუბლიკების მრავალ ქალაქში, ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში გამართული კონცერტები, იუმორისტ-შემსრულებელთა საკავშირო კონკურსი და ლაურეატის წოდება, კინოსტუდიების „ლენფილმისა" და „მოსფილმის" მიერ გადაღებულ რამდენიმე კინოსურათში მონაწილეობა — ყველა ამ სიკეთით დატვირთული, გამობრძმედილი და დაოსტატებული გვხვდება იგი თბილისის ერთი ლამაზი სიცილის საღამოს ღიმილიან მასპინძლად. საქმე ის გახლავთ, რომ ეს მასპინძელი იუმორისტული მოთხრობებისა და ესკიზების მარტოოდენ შემქმნელი ან მკითხველი როდია, მზია კვირიკაშვილი პროფესიონალი პიანისტია, სათანადო განათლებით, საუცხოო ვოკალისტიც. შესაბამისი განათლებით (დამთავრებული აქვს მუსიკალური ტექნიკუმი, ამთავრებს თბილისის საესტრადო საცირკო სასწავლებელს), ფლობს ქორეოგრაფიის საიდუმლოებას, არის უაღრესად პლასტიკური და თითოეულ ნომერს ალამაზებს ცეკვითა და სიმღერით. მას ხელეწიფება უძველესი ხალხური ფოლკლორის წარმოჩენა, ძველი რუსული რომანსის გამომზეურება და, რომ იტყვიან, „ცურავს" თანამედროვე რიტმებში, ერთნაირი სიძლიერით ასრულებს ინგლისურ, ამერიკულ კანტრისა და როკს, ბასანოვასა და შლაგერს, ფრანგულ შანსონესა და შესანიშნავ იმიტაციას უკეთებს გამოჩენილ მუსიკოსებსა და მსახიობებს, გასაოცრად ბაძავს ბავშვებს, გვხიბლავს უშუალობით, თავისუფალი სცენური ტექნიკით, საშემსრულებლო კულტურით, გარდასახვის უნარითა და ნიჭის მრავალმხრივი წარმოჩენის ზომიერი ალღოთი. ქების სიტყვას იმსახურებენ რეჟისორი ავთანდილ გელოვანი და კონცერტმაისტერი ნანა დაუშვილი.

დიდხანს უკრავდა გალაღებული მაყურებელი ტაშს მზია კვირიკაშვილის მიერ გათამაშებულ „საბავშვო ბაღის აღმზრდელს", გვხიბლავდა მისი მახვილი სატირა და თანამედროვეობის შეგრძნება, მსახიობი წარმატებით ფლობს რუსულ ენას და ამიტომაც თავისუფლად კითხულობს რუსულად ისეთი ავტორების ნაწარმოებებს, როგორებიც არიან პოპულარული მ. ჟვანეცკი, ა. არკანოვი, ა. ივანოვი; ბევრი რამ გადმოქართულებულიც არის მის რეპერტუარში. გაუღიმებელი არავინ დარჩენილა ისეთი მინიატურების მოსმენისას, როგორიცაა „სოფლის ფოსტაში", „წაღვერი და თბილისი", „ლექცია ბულალტრებთან". სიცილის ტალღა უვლიდა დარბაზს და ყველას ახარებდა ქართულ ესტრადაზე სალაპარაკო ჟანრის ხელახალი დაბადება, ხელოვნების ამ მშვენიერი დარგის ახალი ამღორძინებლის მზია კვირიკაშვილის წარმატება.

კირა კვეძე



საქ. სსრ კ. მარქსის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგონება

# გაიხმიანეს ლექსებმა



საბჭოთა პროლეტარული მწერლობის ერთ-ერთი წარმომადგენელია მარიკა მიქელაძე. მეგობრების გვერდით აღტაცებით უმღეროდა სოციალისტური სამშობლოს დიად მომავალს.

ბევრ ჩვენთაგანს კარგად გვახსოვს, თუ როგორ გაიხმიანა მისმა პატარა ლექსმა — „ახალგაზრდა კომუნისტი" — გაზეთ „კომუნისტის" ფურცლებზე; გაიხმიანა თავისი იდეური სიმართლით, პოლიტიკური სიმახვილით, რაც მთავარია, მომავლის ღრმა რწმენით:

„ფხიზელი თვალით, ყველაფერს ხედავ
(ნეტავ არასდროს არ გეძინება?!)
იღვწი, რომ მამულს, სამშობლოს მზედარს
წილად ხვდეს მეტი აღორძინება".

ასე ხედავდა ახალგაზრდა პოეტი მარიკა მიქელაძე ნამდვილ კომუნისტს, თვითონაც ასეთი იყო, სამშობლოს სიყვარულით ანთებული, დაუღალავი სულის მებრძოლი პოეტი;

მისი ერთი პატარა ნახევრადბნელი ოთახი მთაწმინდის აღმართზე, ქუჩაში გამავალი პატარა ფანჯრით, ახალგაზრდა პოეტების თავშესაყრელი ადგილი იყო. რომელ მწერალს და პოეტს არ შეხვდებოდით აქ. პაექრობა, სჯა-ბაასი, ლექსების კითხვა შუაღამემდე გასტანდა ხოლმე. ბევრ კარგ აზრსა და წამოწყებას აუდგამს აქ ფეხი, დღე არ იყო, რომ ვინმე მწერალს, თუ მის მეგობარ პოეტს არ შემოეღო ოთახის კარი, არ მოეკითხა იგი.

მარტოობა არ უყვარდა, მუდამ კარებისკენ ეჭირა თვალი. მაგრამ ყველა მის ახლობელს გულს უკლავდა ამ მომხიბვლელი ქალიშვილის, ახალგაზრდა მხიარული გოგონას მარცხენა ფეხზე, მაღალ ქუსლზე დამდგარი ფეხსაცმელი... თვითონაც მწარედ განიცდიდა, როცა ჯოხზე დაყრდნობილი ეზოს კარებამდე მიაცილებდა მეგობრებს და ვინ იცის, ეს ორი ზედმეტი ნაბიჯის გადადგმაც როგორ უჭირდა. მაგრამ ახალგაზრდა პოეტი ქალი, რომელიც თავის ცხოვრების ნახევარს თითქმის საწოლში ატარებდა, მაინც საოცრად მხიარული და ოპტიმისტური იყო.

უღიმღამო, გაუცინარი, მოწყენილი მარიკა არავის ახსოვს. ამ უმზეო, ნახევრადბნელ, ხვედისმომგვრელ პატარა ოთახში იწერებოდა მისი ბრწყინვალე ლექსები: „მაყვალა მრევლიშვილს", „ვსაუბრობ ანასთან" და სხვ.

საოცარი შინაგანი მღელვარება აიტანდა ხოლმე მარიკას, როცა კარებში პოეტი ანა კალანდაძე გამოჩნდებოდა. თითქოს მისი ოთახის ჭერი მაღლა იწევდა, კედლები ფართოვდებოდა და ოთახის შუაგულში მომღიმარი „ანა დედოფალი" — აღიმართებოდა. ასე ეძახდა პოეტი ქალი ანა კალანდაძეს. ამ განწყობილებით დაიწერა მისი მშვენიერი ლექსი — „ანა კალანდაძეს".

„ჩემს მყუდრო ოთახში, მე მუდამ მარტო ვარ,
ავიღე წიგნი და ვსაუბრობ ანასთან.
რა არის? ოთახი განათდა ანაზდად
რა მოხდა? მე მხოლოდ ვსაუბრობ ანასთან".

აქედან შესანიშნავად ჩანს, თუ როგორ ემწყობრებოდა მათი პოეტური სულები ერთმანეთს.

შველივით წყლიანი თვალები აქვსო! — იტყოდა მარიკა თავის უახლოეს მეგობარზე, მაყვალა მრევლიშვილზე.

საოცრად ამშვიდებდა მის ნერვიულ ბუნებას მაყვალას არაჩვეულებრივი სიდინჯე და თავდაჭერილობა.

„აღარ მთავრდება ზამთარი,
ქარმა სისინით დათოვა,
ნეტავი ამ დროს სად არის
ჩემი თვალსველა მაყვალა?!".

1943 წელს, სამამულო ომის წლებში, მარიკა მიქელაძე თავის მეგობარს სიმტკიცისაკენ მოუწოდებდა.

„და ამ ქარბუქში, ელვაში,
როს ბრძოლის ზარი მქუხარებს,
ნურც გავთოშილვართ მე და შენ
ქართულ მზით შენადუღარი".

ასე სწერდნენ პოეტი ქალები, სწერდნენ ამაღლებული გრძნობებით, გამარჯვების ღრმა რწმენით, რომ ქართველ მეომრებს ეგრძნოთ თავიანთი დების სითბო და სიყვარული.

არ მოჰკლებია მარიკა მიქელაძეს მარიკა ბარათაშვილის, ჩვეულებრივ მისთვის დამახასიათებელი, ადამიანური ყურადღება, თბილი გული და მზრუნველობა. ძვირფასი მარგალიტივით დაუფასებელი მოგონება დაგვიწერა მან, თავის უახლოეს მეგობარზე. მარგალიტივითო ვამბობთ, რადგან ამ წერილისა და მოგონების მეტი, არც არაფერი დაწერილა, არა თუ პოეტი ქალის სიცოცხლეში, არამედ მისი გარდაცვალების შემდეგაც. „მე მაგონდება საღამო, გაზაფხულის მხიარული ხმებით აღსავსე ქუჩებით — იგონებს მარიკა ბარათაშვილი. აქეთ-იქით მწკრივად ჩალაგებული ხეებით. და მძიმე ავადმყოფის ნახევრად ჩაშავებულ ოთახში, ჩვენი საუბარი სიცოცხლეზე, მეგობრობაზე, პოეზიაზე... ახლა კიდევ მის საუბარს მონატრებული, ვფურცლავ მის ნაჩუქარ წიგნს, რომელსაც ჩემი მეგობრის სული და გული შეუნახავს. მის ლექსებში ძლიერი მაჟორული ტონი ჟღერს, ხან ვაჟკაცური ხმა ჰქუხს:

„სამშობლოში, მზე ანათებს, განა ღამე?
ვჭექოთ უფრო ხმა მაღალი მრავალჟამიერ".

გულისტკივილით ვკითხულობთ ალიო მირცხულავას, ალიო ადამიას, ნ. აგიაშვილის წერილებს მარიკა მიქელაძისადმი, რომელიც გვაცნობს ხნეულებით შეჭირვებული პოეტი ქალის ცხოვრებას, ფიქრი და ზრუნვა უხდებოდა მას თავის ჯანმრთელობაზე. რამდენ დროს აკარგვინებდა ყოველი წვრილმანი, წამლები, ექიმებთან სიარული. შემოქმედებითი ფიქრები გვერდზე რჩებოდა, ცხოვრება წინ, წინ მიდიოდა, თვითონ კი... გაზაფხულდებოდა თუ არა, სულ საგზურების ძებნაში იყო.

საოცარი ძალა პოეზიის სიყვარულისა, მას არასოდეს არ სტოვებდა. პოეზიით ცხოვრობდა, პოეზიით იხანგრძლივებდა თავის ხანმოკლე სიცოცხლეს.

მარიკა აპოლონის ასული მიქელაძე 1908 წელს დაიბადა, სოფელ კულაშში (სამტრედიის რაიონი).

მამა პოეტი ქალისა — აპოლონ მიქელაძე სამხედრო პირი გახლდათ, რუსეთ-იაპონიის ომის მონაწილე, რომელიც საბედისწერო შეიქმნა მისთვის. იგი ცალი ფეხით ხეიბარი დაბრუნდა სამშობლოში.

„ჩვენს სახლში, — იგონებს მარიკა მიქელაძე, — ხშირად თავს აფარებდნენ რევოლუციონერები, მამა თანაუგრძნობდა მათ და ხშირად ფულითაც ეხმარებოდა.

დედა პოეტისა — ივლიტა (ფუცუ) სათნო და ნაკითხი ქალი, ცნობილი რევოლუციონერის და საზოგადო მოღვაწის შალვა ელიავას დისშვილი იყო. შალვას უფროსი ძმა კი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე ნიკო ელი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავა — პოეტ სიმონ ჩიქოვანის მეუღლის მარიკა ელიავას მამა იყო. ამ მხრივ მომავალ პოეტს კარგი ლიტერატურული გარემო ჰქონდა.

ასევე დიდ გავლენას ახდენდნენ მომავალ პოეტზე მარიკა მიქელაძის დები: დიდად განათლებული, ცნობილი პედაგოგი, რუსული ენის შესანიშნავი მცოდნე — პოლინა მიქელაძე, მეუღლე ჩვენი ქართველი მწერლების დიდი მეგობრის — ლადო სირბილაძისა, რომელიც მწერალთა კავშირში მუშაობდა იმ დროს. მეორე უცხო ენების კარგი მცოდნე, ლენინგრადში უმაღლესდამთავრებული ნინო — მეუღლე ცნობილი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ჯაჯუ ჯორჯიკიასი.

მარიკა მიქელაძეს სკოლა არ უნახავს და არც ჰქონია ბედნიერება ბავშვებთან თამაშის და ცელქობისა. სახლში, საწოლს მიჯაჭვულს ამეცადინებდნენ კერძო მასწავლებლები. საშუალო სკოლის ატესტატის მიღების შემდეგ მარიკა მიქელაძემ დაუსწრებელზე, ფილოლოგიურ ფაკულტეტზე ჩააბარა მისაღები გამოცდები, მაგრამ აქაც მას ხელი შეუშალა ავადმყოფობამ, რაც მარიკას მთელ სიცოცხლეში მწარე ხინჯად ჩარჩა გულში.

მარიკა მიქელაძე უკვე მოზრდილი გოგონა იყო, როცა მისი ნიჭი მათი ოჯახის მეგობარმა მწერალმა ქალმა, ნინო ნაკაშიძემ შეამჩნია. მარიკა შემდგომშიც ძლიერ ემადლიერებოდა მას, „ნათლიას“, — ეძახდა და ლექსიც მიუძღვნა.

პირველ ხანებში, თითქოს თავისი პირადული, სულიერი განცდის გამოხატვით დაიწყო ლირიკული ლექსების წერა. ასეთი იყო მისი პირველი ლექსი: „სანთელი“.

„ებრძვის სანთელი ღამეს გოლიათს.

შემოსდგომია ბინდი ულევი,
სანთელსაც მხოლოდ ერთი გული აქვს
და ისიც იწვის ჩემი გულივით“.

მაგრამ მასში დიდი იყო ძალა წინააღმდეგობის დაძლევისა, როცა იგი მწერლობაში მოვიდა, მოვიდა ნამდვილი ჯანსაღი, გამართული, პატრიოტულ-მოქალაქეობრივი ჰანგებით:

საკმაოდ კარგი ნიჭიერი ლექსები შექმნა მან სამამულო ომის თემაზე: ამაღლებული პატრიოტული გრძნობა, სამშობლოს სიყვარული, მსოფლიო მშვიდობა, მოძმე ხალხთა მეგობრობა და სხვა. ამ ციკლს ეკუთვნის ლექსები: „დროშა“, „ჩვენ დები ვართ ყველა“, „ამერიკელ დედებს“ და სხვ. ამ უკანასკნელ ლექსში იგი სასტიკად ილაშქრეს ომის გამჩაღებლების წინააღმდეგ:

პოეტმა დიდი სიყვარულის გრძნობით უმღერა სახელგანთქმულ რუს პოეტ ქალს — ანა ახმატოვას, რომელსაც საკუთარ „დას“ ეძახდა.

„ჩემო კარგო! მე არ ვიყავ შენთან
მაშინ,
მაგრამ გულმა ტკივილები შენი ზიდა,
მე გხუდავდი, მე გხედავდი ბრძოლის
ქარში,
ლენინგრადელს ჩემს შორეულ
თბილისიდან“.

მაგრამ სადღაც გულის ტკივილსაც გამოხატავდა იგი, რომ ანა ახმატოვას საქართველო არ უნახავს. მას მტკიცედ სჯეროდა, რომ საქართველოზე უზომოდ შეყვარებულ ბ. პასტერნაკის მეგობარს, არ შეიძლება საქართველო არ ყვარებოდა.

მარიკა ეტრფის ახალგაზრდობას, ქალების ვაჟკაცურ მარჯვენას, ცაში მფრინავ პილოტ ქალს; უმღერის ჩაის მკრეფავ ქალიშვილებს, ხალხისათვის დოვლათს რომ ჰქმნიან.

„არ გინდა ვერცხლი და ოქრო,
არ ფარჩა, უცხო ჩითები,
შენ გაამაყებს გოგონა
ეგ შენი ოქროს თითები“.

შეჰხარის პოეტი სოციალისტური შრომის გმირებს. „ოქროს ოპიზარებს“ უწოდებს დოლბასის „შავი ოქროს“ — ოსტატებს.

1931 წელს გამოვიდა მარიკა მიქელაძის ლექსების კრებული: „მზე პირს იბანს“. ეს იყო და ეს, მეტი წიგნი მას მოკლე სიცოცხლის განმავლობაში არ ღირსებია.

წიგნში, გარდა ორიგინალური ლექსებისა, შეტანილია პოეტის მაღალმხატვრულ დონეზე შესრულებული თარგმანები: ჰ. ჰაინე, გოეთე, ე. პოტიე, მოძმე ხალხების ლიტერატურიდან: ა. პუშკინის, ერშოვის, ვ. მაიაკოვსკის და სხვათა ლექსები.

ადრე წავიდა ჩვენგან, ადრე მოსწყდა თავის თანამოკალმე საყვარელ მეგობრებს, მზისა და სიცოცხლის მომღერალი, ჯერ მხოლოდ შუახანს მიტანებული.

გარდაიცვალა მოულოდნელად, სამკურნალოდ წასული, ზღვაზე, ბათუმში მყოფი, 1957 წლის იანვარს.

სადგურამდე იგი მისმა ბათუმელმა მეგობრებმა მწერალმა პ. ლორიამ და ნ. მალაზონიამ მიაცილეს. თბილისში მას გამოჰყვა ახლო ნათესავი და მეგობარი, მისი ნიჭის თაყვანისმცემელი ქალი — ოლია ლეჟავა (თბილისის უნივერსიტეტის ქიმიის კათედრის უფროსი მასწავლებელი), რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო მარიკას... რომელი ნათესავისა და ახლობლის ოჯახის კარი არ შეგვიღია მე და ქალბატონ ოლიას, ყველგან ვეძებდით მისი სიცოცხლის ნაფეხურებს... ვეძებდით მის სურათს.

დროა, პოეტი ქალის, სოციალისტური სამშობლოს სიყვარულით გაჟღენთილი ალალმართალი ლექსები მისაწვდომი გავხადოთ ჩვენი ახალგაზრდობისათვის.

არ უნდა დაგვეკარგოს პოეტის სიტყვა, მისი ცრემლნაჟური მხატვრული ქმნილებანი.

**ნინო ჩიხლაძე**

კოსმეტიკა

# ლამაზი რომ ვიყოთ

გაზაფხულზე და ზაფხულში მზის სხივების ზეგავლენით მატულობს პიგმენტების გამოყოფა (მაშინ მზე დიდი რაოდენობით შეიცავს ულტრაიისფერ სხივებს) და სახეზე სხვადასხვა ფორმისა და ზომის მოყვითალო-მოყავისფრო ლაქები ჩნდება. ბავშვებში და ახალგაზრდებში ეს მეტწილად ჭორფლის სახით ვლინდება. შემოდგომაზე და ზამთარში ლაქები ფერმკრთალდება და ზოგჯერ სრულიად ქრება კიდეც. ამ შემთხვევაში, პროფილაქტიკის მიზნით, მზისგან დასაცავად ქუდი, ქოლგა და სპორტული კრემები უნდა გამოიყენოთ. ეს კრემებია: „ლუჩი“, „ზემლიანიჩნი“, „შჩიტი“, „ოტ ზაგარა“, „მოლოდოსტი“. მზეზე გასვლის წინ სახეზე ჯერ კრემის თხელი ფენა უნდა წაისვათ და შემდეგ პუდრი. უმჯობესია პუდრი „იუნოსტ“ ან „კურორტნაია“. თუ კრემი არ გექნებათ, შეგიძლიათ გამოიყენოთ კვერცხის გული, რომელიც კანზე 3-5 წუთი უნდა დაიტოვოთ და შემდეგ მაწვნით ჩამოიბანოთ.

ლაქების გაბაცების ან მათი მოშორების მიზნით ცხიმიანი კანი ყოველ საღამოს გაისუფთავეთ ლიმონის წვენში ან სუფრის ძმარში დასველებული ბამბით; მშრალი კანის გასასუფთავებლად მიზანშეწონილია სახეზე კეფირი ან მაწონი წაისვათ, 15-20 წუთის შემდეგ კი წყლით ჩამოიბანოთ და მკვებავი კრემი გადაისვათ. თუ მკაფიოდ გამოხატული ლაქები გექნებათ, უმჯობესია საღამოობით კანის ამქერცლავი კრემის გამოყენება. ესენია — „ვესენნი“, „ჩისტოტელი“, „მეტამორფოზა“ და სხვა. იმ კრემების წასმის წინ სასურველია პირის დაბანის ნაცვლად, კანი გაისუფთაოთ ლოსიონით — „სტარტი “ან „ოგურეჩნი“. მაგრამ გაცილებით სასარგებლოა ნატურალური წვენების ნილბები, ვიდრე მათეთრებელი კრემები. კარგი და მკვებავი თვისებები აქვს ხილისა და ბოსტნეულის ნილბებს: — კიტრის, პამიდორის, ხენდროს წვენის და არაჟანის თანაბარი რაოდენობა კანზე 20-30 წუთით უნდა დაიტოვოთ, შემდეგ წყლით ჩამოიბანოთ და მკვებავი კრემი გადაისვათ.

და მაინც, სახეზე და ხელებზე ლაქების გაჩენისას უმჯობესია მიმართოთ დერმატოლოგს და მისი რჩევით ისარგებლოთ.

**ლუბა შეწირული,**
პროფესორი.

ქველმოქმედი

# „ეროვნული საკრებულოს სიამაყო დედა“



ასე მოიხსენიება გასული საუკუნის მიწურულის პერიოდულ პრესაში ცნობილი ქართველი მრეწველის, საზოგადო მოღვაწის, გიორგი დავითის ძე ქართველიშვილის მეუღლე — თამარ სოლომონის ასული ქართველიშვილი.

ცნობილი ქართველი მწიგნობარი და საზოგადო მოღვაწე ზაქარია ჭიჭინაძე 1904 წელს მის მიერ გამოცემული გიორგი ქართველიშვილისადმი მიძღვნილ წიგნში წერდა: ქართული მწერლობის ისტორიაში აუცილებლად უნდა მოიხსენიებოდეს მისი სახელიო და ამის საფუძვლად ასახელებდა გ. ქართველიშვილის ქველმოქმედებით „ვეფხისტყაოსნის“ და გაზეთ „დროების“ გამოცემას.

საუკუნის წინათ, 1888 წელს მიიღო ქართველმა მკითხველმა მიხაი ზიჩის სურათებით დამშვენებული „ვეფხის ტყაოსანი“. და წელს, როდესაც ჩვენმა საზოგადოებრიობამ დიდი ზეიმით აღნიშნა რუსთაველის საზოგადოების დაარსების ღირსსახსოვარი დღე, კიდევ უფრო მეტი მადლიერებისა და თაყვანისცემის გრძნობით იმოსება ამ დაუვიწყარი ქველმოქმედი მამულიშვილის სახელი.

დიდი ქართველი მსახიობი და საზოგადო მოღვაწე ვალერიან გუნია, როგორც რედაქტორ-გამომცემელი, განსაკუთრებული ინტერესით ეხმაურებოდა თავისი ჟურნალისა თუ გაზეთის ფურცლებზე ყოველ ქველმოქმედებას, მნიშვნელოვან ღონისძიებას, რომელიც იმართებოდა იმხანად ქართველ მანდილოსანთა თაოსნობით ქალაქად თუ სოფლად; ქართველ „შეუძლებელ“ მოსწავლეთა და სტუდენტთა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, ქართული წიგნსაცავების, სამკითხველოების, ქართული თეატრის სასარგებლოდ.

ამგვარ ქველმოქმედებათა ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და თაოსანი იყო თამარ ქართველიშვილი, ამის დამადასტურებელია ის სინანულით აღსავსე გამოსათხოვარი სიტყვები, რომელიც დაბეჭდილია გაზეთ „ცნობის ფურცელში“ და „ივერიაში“.

„არ არის არც ერთი ჩვენებური დაწესებულება, სადაც მას (თამარ ქართველიშვილს — ც. ხ.) და მის მეუღლეს თავიანთი პატიოსანი შრომით მოპოვებული წვლილი არ შეეტანოს, თავის გულმხურვალე თანაგრძნობა არ აღმოეჩინოს და ყველა ეს ხდებოდა იმიტომ, რომ დედაბურჯი ოჯახისა სულით მხნე და პატიოსანი იყო, სახლის საძირკველი მტკიცე ნიადაგზე იყო დამყარებული... განსვენებული ჯერ 50 წლისაც არ იყო, მაგრამ იმდენი საერთო სიყვარული და პატივისცემა მოიპოვა, რომ მვირად თუ ვისმე არგუნებს ბედი ასეთს უმაღლეს ჯილდოს“. — წერდა მწერალი ქალი დომინიკა განდეგილი (გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1898, № 572).

„არათუ მარტო გიორგი დავითის ძე ქართველიშვილის სახლობა სტირის დღეს მისთვის, არამედ მრავალნი მგლოვიარენი, რომელნიც მოთქვამენ დავითისეულ ჰანგზედ: „ვაი რა ბოძი წაიქცა, სახლკარი თავს დაგვექცაო... ჩვენ ყრმანი დავრჩით, პატრონი წავიდა, შორს გაგვექცაო“... წაიქცა დედა-ბოძი ქვრივ-ობოლთა და უქონელ ქალთა, რომელთათვის განსვენებულის კარი ღია იყო და „პურსა არსობისასა“ იღებდნენ მისგან... ეკლესიათაც დააკლდათ, რადგან განსვენებული ბევრს სასყიდელს იმეტებდა მათთვის, მწიგნობართაც აღარ ჰყავდათ ქართული მწერლობის აღორძინების მოტრფიალე, — ის, რომლის საფასით დაიბეჭდა პირველად „საქართველოს მოკლე ისტორია“ (გაზ. „ივერია“, 1898 წ. № 138).

თამარ ქართველიშვილის იშვიათი ზნეობრივი და სულიერი სიფაქიზის გამომხატველია „მეთვალყურის“ ეს სტრიქონებიც, მისდამი ღრმა თაყვანისცემით მიძღვნილი: „ბუნებრივად იგი ოჯახისთვის იყო დაბადებული და ვინც შედიოდა მის სახლში, უნებურად გრძნობდა, რომ ოჯახი წმინდა მცნებაა; ზეგარდმო დაფუძნებული ტაძარია, მაინც თუ უფრო კრძალვა და სიყვარული“.

როგორც ძველ, მდიდარ ტრადიციებზე აღზრდილი, იგი ქართულ ზნე-ჩვეულებათა დაცვის ისეთ სანიმუშო მაგალითს იძლეოდა, რომლითაც თავის თანამედროვეთაც კი აოცებდა. ამას აშკარად გვაგრძნობინებს „ივერიის“ ფერგადასული ფურცელი, რომელიც დღესაც ჟრუანტელს გვგვრის: — „ქართული ძველებური ზნე, ჩვეულება და საცმელი ისეთივე სიწმინდე იყო მისთვის, როგორც რომელიმე სალოცავი, — „ჩვენებური გვირგვინი! — ამბობდა თურმე თამარი, — იგივ გვირგვინია, გვირგვინი, რომელსაც სხვა ქვეყნებში მხოლოდ მეფეები და დედოფლები იხურავენო“.

თამარ ქართველიშვილის იშვიათი პიროვნების ხილვით აღტაცებულ გაბრიელ ეპისკოპოსს წარმოუთქვამს: „თქვენის სამაგალითო ცხოვრებით დაგვიხატეთ ძველებური ქართვლის დედა, ის დედა, რომელიც იყო ბურჯი და სიმტკიცე ქართველთა უძლეველობისო“.

ციური ხეთერელი

# სოფელ გურჯაანის ხევისუბნის „მთავარანგელოზი“

გაზეთი „ივერია“ იტყობინებოდა, რომ სოფელი გურჯაანი რამდენიმე უბნისაგან შედგებოდა, ამათში მრევლმრავლობით გამოირჩეოდა ხევის უბანი. ამიტომ, როგორც მომსწრენიც ამბობენ: ხევისუბნის „მთავარანგელოზი“ ყველაზე მეტად მოქმედი ეკლესია ყოფილა, სადაც ეკლესიურ რიტუალებზე გალობდა ქალთა გუნდი, რომლის ლოტბარიც შემდეგში გურჯაანის ხალხური სიმღერების გუნდის ცნობილი ხელმძღვანელი — ლევან მუღალაშვილი იყო.

ლამაზი იყო გურჯაანის „მთავარანგელოზი“, ორი კარი ჰქონდა, ორივეს ჩუქურთმიანი, თუთიის მრგვალი სახურავი ედგა თავზე. მდიდარიც ყოფილა იგი, იქიდან ბევრჯერ გაუტაცნიათ მნიშვნელოვანი ნივთები: „სხვათაშორის — წაიღეს ძვირფასი ბარძიმ-ფეშხუმი მეფე ირაკლის დროინდელი“ გაზეთი „ივერია“, 1902 წ. № 278, 28 დეკემბერი). შემდეგ და შემდეგ ფრესკები წაშალეს, საკურთხეველი მიწასთან გაასწორეს, წლობით ნაშენი და ნალოლიავები გუმბათი, ერთ წუთში დაამხეს და... ეკლესიაში სავარჯიშო დარბაზი მოაწყეს; გავიდა კიდევ რამდენიმე ხანი და შიგ ახლა პურის საცხობი თონე ააშენეს. წლების მანძილზე ბურბურებდა თონე ეკლესიაში, ჩამოგლეჯილ კარებებიდან და მაღალ, ვიწრო სარკმლებიდან ძლივს იკვლევდა გზას ბოლის შავი სვეტები. ამით არ დამთავრებულა ეკლესიის რბევა. უგუნურმა ადამიანებმა ახლა ეკლესიის ეზოში მდგარ, წმინდა ხედ შერაცხულ საუკუნოვან მუხას დაადგეს თვალი, რომელზეც სოფლის სიხარულისა თუ მწუხარების მაუწყებელი დიდი, რკინის ზარი ეკიდა. ზარი ჩამოხსნეს, მუხა კი მოჭრეს. ჩვენ ვამბობთ უგუნურებმაო, მაგრამ აქ კი გონიერება გამოიჩინეს: მუხას უშველებელ ძირში ქვები მიაყარეს, მთლად დაფარეს, რომ როგორმე დამპალიყო, რათა უფრო ადვილად მოეჭრათ. ასეც მოხდა. ძირი დაულპა მუხას და რამდენიმე წლის შემდეგ მოჭრა აღარ გაძნელებიათ. ალბათ ისეთი დიდი ხე, როგორიც ის მუხა იყო, იშვიათად იზრდება დედამიწაზე, ასე უდიერად რომ არ მოქცეულიყვნენ, დღეს ის მუხა საქართველოში ერთ-ერთი უნიკალური ბუნების ძეგლი იქნებოდა.

მუხას რაღას ვუშველით, მაგრამ ჩვენდა საიმედოდ სოფელ გურჯაანის „მთავარანგელოზი“ მთლად ვერ მოსპო ბოროტმა ხელმა, კედლები ისევ დგას, სახურავიც მთელია. შეიძლება კიდევ ეშველოს რამე. ამ ძეგლის შეკეთება კი ღირს, მარტო იმიტომაც, რომ სოფელი გურჯაანი ისტორიულად თურმე სახასო ანუ სამეფო მამული ყოფილა. როგორც პლატონ იოსელიანი აღნიშნავს, საქართველოს ბოლო მეფის გიორგი მეცამეტის ძემ, უფლისწულმა დავითმა მამის სურვილის წინააღმდეგ შეირთო მისთვის შეუფერებელი, დაბალი წრის ქალი, რის შედეგადაც მეფობის უფლება აღარ ჰქონდა. მეფე გიორგი მეცამეტე ძლიერ განაწყენდა, მაგრამ ქორწილის მესამე დღეს მაინც წავიდა, ნახა თავისი რძალი, ეამბორა და პირისანახავიც უბოძა: ქარვასლა სახასო ქ. თბილისს, ძველად როსტომ მეფისაგან აშენებული და სოფელი გურჯაანი, სახასო ყმებითა და მამულით (პლატონ იოსელიანი, „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“).

ისტორიას რომ გავყვეთ, ალბათ კიდევ ბევრი საინტერესო ცნობა აღმოჩნდება, მაგრამ ამ პატარა წერილის მიზანი მხოლოდ ის არის, რომ გადაწყდეს სოფელ გურჯაანის „მთავარანგელოზის“ ბედი. ან კი რამ უნდა შეუშალოს ხელი ერთი ეკლესიის შეკეთებას, თუკი ხალხი ითავებს ხელმძღვანელობასთან ერთად? მოეწყობა შაბათობა, გამოვლენ მოსწავლეები და მიეხმარებიან დიდებს ნერგების დარგვაში... იმ მუხის მაგივრადაც თუ ახალს ვახარებთ, ეს ხომ მთლად მისასალმებელი იქნება.

ასე შეიქმნება პატარა, მყუდრო ცენტრი გურჯაანელი ახალგაზრდებისათვის, სადაც იმეცადინებს სიმღერის გუნდი, იმუშავებს ლიტერატურული წრე, მაშინ ერის ეს სულიერი საგანძური კულტურის დაუშრეტელ კერად იქცევა.



ნინო ბეჟარაშვილი

# დედის ძუძუ და ბავშვი

## ჩვენი საოჯახო კლუბი

ეროვნული ბიბლიოთეკა



როგორც დიდი ქართველი ფსიქოლოგი დ. უზნაძე აღნიშნავდა, „ძუძუს გადაჩვევის ფაქტი ერთ-ერთი უდიდესი მნიშვნელობის ფაქტორთაგანია ბავშვის ცხოვრებაში. შეიძლება ითქვას, განსაზღვრული თვალსაზრისით იგი დაბადების აქტის მნიშვნელობას უახლოვდება. საქმე ისაა, რომ დაბადების აქტი პირველი ნაბიჯია დამოუკიდებელი ინდივიდუალური ორგანიზმის სახით ბავშვის ცხოვრების დასაწყისისა, მაგრამ მისი არსებობა ნორმალურად შეუძლებელია დედის რძის გარეშე, იგი კვლავ დედაზეა ფიზიოლოგიურად დამოკიდებული. ეს ფიზიოლოგიური დამოკიდებულება ძუძუს გაშვებასთან ერთად თავდება და ამიერიდან მისი არსებობა უდედოთაც შესაძლებელი ხდება“.

სრულიად გასაგებია სახელოვანი მეცნიერის აზრი იმის შესახებ, რომ თუ ბავშვს დედა ძუძუს არ აწოვებს, ბავშვის „არსებობა ნორმალურად შეუძლებელია“. ზოგი რამ შეიძლება ყველასათვის არ იყოს ადვილად დასანახი და საწინააღმდეგო აზრიც გაუჩნდეთ, განსაკუთრებით იმ დედებს, რომელთაც ნაადრევად გაწყვიტეს ბავშვთან ფიზიოლოგიური კავშირი, მაგრამ მათ უნდა შევახსენოთ, რომ ფსიქოლოგების დასკვნით ბავშვისათვის ეს გარემოება პირველივე „იმედის გაცრუებაა“ და მაშასადამე, არ შეიძლება, რომ არ ტოვებდეს სერიოზულ კვალს.

უძუძური დედის ბავშვი ბევრს კარგავს სამეტყველო შესაძლებლობათა განვითარების მხრივ; გარდა იმისა, რომ დედის რძე შეუცვლელ საკვებს წარმოადგენს ბავშვის ფსიქო-ფიზიკურ ძალთა განვითარებისათვის, თვით წოვის პროცესი აყალიბებს სამეტყველო აპარატს, კერძოდ არტიკულაციას, არეგულირებს მის კონცენტრირებულ მოქმედებას ნორმალური მეტყველებისათვის. ამდენად, დედის ძუძუ მარტო კვებისათვის განკუთვნილი ფიზიოლოგიური ორგანო კი არა, ისეთი რთული ფსიქიკური მოვლენის საწვრთნელი და სავარჯიშო ორგანოც არის, როგორიცაა მეტყველება, მისი ბაზალური კომპონენტები: ხმა, არტიკულაცია და სხვ.

ძუძუს წოვა ხელს უწყობს სამეტყველო პროცესებისათვის აუცილებელ, ტუჩების ნორმალური მოკუმვის ჩვევებს, ცხვირ-ბაგის ხაზების დამუშავებას, ენის მართებულ მდგომარეობას, ნუნების, რბილი და მაგარი სასის განვითარება-ჩამოყალიბებას; ერთი სიტყვით, ხელს უწყობს სამეტყველო აპარატის ელასტიკურობის განვითარებას.

ცნობილია, მაგალითად, ხელოვნური ძუძუს (მატყუარას) გავლენა ისეთი მყარი სამეტყველო ნაკლის განვითარებაზე, როგორიცაა კბილთაშუა სიგმატიზმი და საერთოდ წინაენისმიერი ბგერების დარღვევები. დედის რძე, როგორც იტყვიან, კირავს და ავსებს სასის იმ მცირე ნაპრალებს, რომელნიც უარყოფითად მოქმედებენ ნორმალურ წარმოთქმაზე. ძუძუს წოვა ხელს უშლის აგრეთვე ყბების არასწორ განვითარებასა და თანკბილვას.

რაც მთავარია, დედასთან ნორმალურ ფიზიოლოგიურ კონტაქტში მყოფი ბავშვი სამეტყველო მოძრაობათა წაბაძვისათვის სალაპარაკო განწყობილებისათვის. საამისოდ საჭირო აღქმისა და განცდის გაღვიძებისათვის აუარებელ მასალას პოულობს. პირველი ღიმილის გაჩენა სწორედ ამ ფიზიოლოგიური კავშირების წყალობითაც არის განპირობებული. ღიმილი კი თავიდანვე უპირველესად მეტყველების ელემენტს შეიცავს.

ძუძუს წოვის ფიზიოლოგიური პროცესის როლი და მნიშვნელობა ნორმალური ფსიქიკის აღზრდისათვის იმდენად დიდია, რომ ხალხმა ლეგენდებიც კი შექმნა უდედოდ და უძუძოდ დარჩენილ ბავშვთა გადარჩენის შესახებ. გავიხსენოთ რემისა და რომულის გამოკვება ძუ მგლის მიერ, „შაჰნამეს“ ერთერთი მთავარი გმირის, უძლეველი ფრიდონის მთაში გადამალვა და იქ მიჩენილი ძროხის ძუძუს წოვა, ან თუნდაც ძველი ქართული ტრადიცია უძუძოდ დარჩენილ ბავშვებს რომ თხის ძუძუს აწოვებდნენ და სხვ. ცხადია, რომ ძველად დედისგან ფიზიოლოგიურად მოწყვეტას უკიდურეს შემთხვევაში მიმართავდნენ. დღეს კი, როცა ხელოვნური ძუძუს იმიტაციის საშუალება ( „მატყუარა საწოვარა“) კაპიკებს ღირს, დედები ადვილად გადიან ფონს... შვილებს ძუძუს მაგიერ ბოთლის სიყვარულს ასწავლიან.

სხვა უამრავ ფაქტორთა შორის გულგრილი ადამიანის ჩამოყალიბებას „პირველი იმედის გაცრუება“ ე. ი უძუძურობის ფაქტორი უნდა ედოს საფუძვლად. უძუძურად გაზრდილი ბავშვები ხშირად აგრესიულებიც არიან ხოლმე (მეცნიერთა მტკიცებით ასევე აგრესიულები არიან ხელოვნურად გამოკვებილი ცხოველებიც).

ახალგაზრდა მშობლებს შევახსენებთ და უნდა ირწმუნონ, რომ ბუნების ამ დიდი საიდუმლოს — ძუძუთი კვების ფიზიოლოგიური პროცესის ხელყოფა მრავალ გაუთვალისწინებელ და სერიოზულ ანომალიებს შესძენს შთამომავლობას. არავინ დაგვძრახავს, თუ დედათა ამგვარ წინდაუხედავ საქციელს უგნურობას ვუწოდებთ (მხედველობაში გვყავს, ცხადია, ჯანმრთელი დედები).

**ს. შაიშმელაშვილი,**

მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ლოგოპედიური ცენტრის გამგე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რძით მკურნალობა

მაწონს, კეფირს, „რიაჟენკას“, კუმისსა და სხვა რძისმჟავა პროდუქტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ **სამკურნალო-პროფილაქტიკურ** კვებაში. მაგალითად, ადამიანისათვის 100 გრ აციდოფილინი დაახლოებით 100 მილიარდ ფრიად სასარგებლო მიკროორგანიზმს შეიცავს. ამ მიკროორგანიზმებზე წერდა გამოჩენილი მეცნიერი ი. მეჩნიკოვი: „სასარგებლო ბაქტერიათა შორის საპატიო ადგილი უნდა მივაკუთვნოთ რძისმჟავა ბაცილებს, ისინი გამოიმუშავებენ რძისმჟავას და ამით ხელს უშლიან ცხიმოვანი და ლპობადი ფერმენტების განვითარებას, რომლებიც ჩვენთვის ყველაზე საშიში მტრებია... საჭმლის მომნელებელ სისტემაში ლპობა ორგანიზმის დაჩაჩანაკების ერთ-ერთი მიზეზია“.

მჟავე რძეს ორგანიზმი ახალ რძეზე უკეთესად ითვისებს და ის ბიოლოგიურადაც უფრო აქტიურია, მდიდარია $B_1$ $B_6$ $B_{12}$ ვიტამინებით, უფრო ძლიერი ანტიბაქტერიული მოქმედებისაა და კვებით ალერგიასაც შედარებით ნაკლებად იწვევს.

ლაქტობაქტერიოთერაპიას (მჟავე რძით მკურნალობა) ექიმები ურჩევენ კუჭის დაავადებისას (თუ პაციენტს მცირე სიმჟავე აქვს), აგრეთვე ნაწლავების, ღვიძლის, ნაღვლის სადინარების, თირკმელებისა და კანის ზოგიერთი დაავადების დროს. მჟავე რძის მიღებას არ ურჩევენ იმათ, ვისაც კუჭუკანა ჯირკვლის ანთება, გასტრიტი და კუჭის წყლული აქვს (მომეტებული სიმჟავით). მაგრამ ექიმთან კონსულტაციის შემდეგ ამ დაბრკოლების გადალახვაც შეიძლება, თუ მაწონს, კეფირს, აციდოფილინს ცოტაოდენ საჭმლის სოდას დავამატებთ.

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის კვების ინსტიტუტის სპეციალისტთა მონაცემებით, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის მკურნალობისათვის ძალიან კარგ შედეგს იძლევა ერთ ჭიქა კეფირში შერეული ერთი სუფრის კოვზი ახლადგამოხდილი ზეთი.

ახალი ხაჭოს სიკეთე ყველას კარგად მოეხსენება. რით არის ეს განპირობებული? ცილების, ცხიმების, მინერალური ნივთიერებებისა და მიკროელემენტების, ეგრეთწოდებული ლიპოტროპული ნივთიერებების — მეთიონინის, ხოლინის, ლეციტინის საუკეთესო ოპტიმალური შეხამებით. ამის გამო ხაჭო გამოიყენება ათეროსკლეროზის, ღვიძლის, სიმსუქნის პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის; აგრეთვე კარგ ზეგავლენას ახდენს საჭმლის მომნელებელ, ნერვულ და სასუნთქ სისტემაზე.

დიეტური ხაჭო ძალიან კარგია, და ზოგჯერ შეუცვლელიც კი შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა კვებაში, აგრეთვე სხვადასხვა ტრავმაგადატანილთათვის და დამწვრობის შემდეგ. უცხიმო ხაჭოს მიღებას ექიმები გულ-სისხლძარღვთა სისტემის, ღვიძლის, ნაღვლის სადინარების, კუჭუკანა ჯირკვლის დაავადებისას ურჩევენ.

მაგრამ გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც: ხორცის, თევზის, კვერცხის ნაცვლად ხაჭოს ზომაზე მეტი მიღება მნიშვნელოვნად ზრდის ორგანიზმის მოთხოვნილებას $B_6$ ვიტამინზე. ზოგჯერ ხაჭოს მიღებას არ ურჩევენ ნაწლავების ინფექციური დაავადებისას.

ბ. ივანოვი

# სენპოლია

მსოფლიოში აღრიცხულია 1200 სენპოლიის ჯიში. იგი დაბალი ბალახოვანი, მრავალწლიანი ყვავილია, იისმაგვარი მრავალნაირი ფორმა აქვს და იძლევა ყვავილის შეფერვის მდიდარ გამას: თეთრი, ვარდისფერი, იისფერი, პირისფერი, წითელი, ლურჯი, მუქი იისფერი, დაწინწკლული, ზოლიანი და სხვ.

სენპოლია ადვილად მრავლდება მცენარის დაყოფით, ფოთლის კალმებით, თესლით, ყველაზე მეტად მიღებულია სენპოლიის ფოთლის კალმების წყალში ან ტენიან, სილიან მიწაში დაფესვიანება. 3-4 სანტიმეტრის სიგრძის ფოთლის მსხვილი ყუნწი უნდა გამოაშროთ ნახევარი საათით და შემდეგ ჩააწყოთ გამოხდილ ან ანადუღარ ცივ წყალში. თუ ჭურჭელში წყალი ამოშრა, უნდა დაუმატოთ. 3-6 კვირაში იგი, 2-4 სანტიმეტრის სიგრძის ფესვებს გამოიღებს. რის შემდეგაც შეიძლება ჩარგოთ 5 სანტიმეტრიანი დიამეტრის მსუბუქმიწიან თიხის ქოთანში 2-3 სანტიმეტრის სიღრმეზე.

მოზრდილი სენპოლია ერთი წლის შემდეგ უნდა გადაირგას 10-12 სანტიმეტრიან ქოთანში, რომელსაც ძირში, დრენაჟისათვის ნახვრეტს უნდა დაეფაროს ქოთნის პატარა ნატეხი და ჩაიყაროს წვრილი კენჭები, აგრეთვე რამდენიმე ცალი ხის ნახშირი, შემდეგ კი ჩაიყაროს შეზავებული მიწა. ყველაზე კარგი ნიადაგია: ტყის მიწა, ნაკელი, კვალსათბურის მიწა, მდინარის სილა, ცოტა დანაყილი ხის ნახშირის და ტორფის ნარევი.

სენპოლია უნდა მოირწყას ონკანიდან წინა დღით აღებული ოთახის ტემპერატურის მქონე წყლით, ისე რომ ფოთლები არ დასველდეს. ზაფხულში ტენიანი ჰაერის შესაქმნელად ქოთანს გვერდზე უნდა დაუდგათ წყლიანი ჯამი. ზამთარში მას 18-10 გრადუსი სითბო სჭირდება.

სენპოლია სინათლის მოყვარულია, მაგრამ ვერ იტანს მცხუნვარე მზის პირდაპირ სხივებს. კარგია, თუ ფანჯრის რაფა აღმოსავლეთის ან ჩრდილოეთის მხარეზეა. ზამთარში შეიძლება სამხრეთის მხარეს დაიდგას, ოღონდ მოარიდეთ მზის სხივებს.

სენპოლიას ნაცარი უჩნდება ხოლმე თეთრი ფიფქების სახით ყვავილზე, ფოთლის ზედა ნაწილზე. ასეთ შემთხვევაში, საჭიროა შეაჭრათ დაზიანებული ფოთოლი და ყვავილი. ათ დღეში ერთხელ კი შეასხურეთ საპნის ხსნარი.

თუ სენპოლიას შეესია წვრილი ტკიპები, ან ბუგრები, მას ცრუფარიანა ფოთოლი დაეგრიხება და ყვავილი დაუპატარავდება, ამ შემთხვევაში კარგია გოგირდის შეფრქვევა, აგრეთვე დანაყილი ნივრისა და ხახვის ან 2 პროცენტიანი თამბაქოს ნაყენის შესხურება.

ირაკლი ხმალაძე,
მხატვარ-დეკორატორი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კულინარია

## ვარენიკები ხაჭოთი და კარტოფილით

მოხარშეთ კარტოფილი, გაფცქვენით, გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში ხაჭოსთან და კარაქში მოხრაკულ ხახვთან ერთად. კარგად აურიეთ, უყავით მარილი და დაფქვილი შავი პილპილი გემოვნებით.

მანანის ბურღული დაალბეთ 1 ჭიქა ცივ წყალში, ასე დატოვეთ მანამ, სანამ არ დაიბერება. მერე უყავით მარილი, ათქვიფეთ კვერცხი, აურიეთ ბურღულში და ჩააყარეთ ფქვილი. მოზილეთ ცომი, გაყავით რამდენიმე ნაწილად და თითოეული ნაწილი გააბრტყელეთ. შემდეგ დაჭერით თანატოლ ოთხკუთხედებად. თითოეულ ოთხკუთხედზე მოათავსეთ გამზადებული ხაჭოიანი კარტოფილი, შეაერთეთ ოთხკუთხედის არამოპირდაპირე ბოლოები, მიიღებთ სამკუთხედებს, რომლებსაც მოუკარით წვეროები, კარგად შეუწებეთ, ჩაყარეთ ადუღებულ მარილწყალში და ხარშეთ. როცა ვარენიკები ზემოთ ამოტივტივდება, კიდევ 5 წუთს გააჩერეთ, შემდეგ ამოიღეთ საწურზე, გადაავლეთ მდუღარე წყალი, დაალაგეთ ფართო თეფშზე, მოასხით მცენარეული ზეთი და მიირთვით არაჟანთან ერთად.

4 ულუფისათვის საჭიროა: 1 კგ კარტოფილი, 250 გრ ხაჭო, 1 საშუალო ზომის ხახვი, 1 სუფრის კოვზი ქარაქი. ცომისათვის საჭიროა: 300 გრ ფქვილი, 1 კვერცხი, 2 სუფრის კოვზი მანანის ბურღული, 200 გრ არაჟანი, 1 ჭიქა წყალი.

## შემწვარი ყველი

აიღეთ ჰოლანდიური ან რუსეთის ყველი. დაჭერით ნახევარი სმ სისქის ერთნაირი ზომის ოთხკუთხედებად. ამოსვარეთ პურის ფქვილში, ამოავლეთ — ათქვეფილ კვერცხში, მოაყარეთ ორცხობილას ფხვნილი და შეწვით კარაქში. შეგიძლიათ მიირთვათ კარაქმოსხმულ მოხარშულ მაკარონთან ერთად.

4 ულუფისათვის საჭიროა: 300 გრ ყველი, 2 კვერცხი, 1 ჭიქა ორცხობილას ფხვნილი, 100 გრ კარაქი ან ერბო.



# პატივი მიაგეთ

აპრილის ბოლოს, პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან არსებულ № 20 პოლიკლინიკის თანამშრომლებმა დაბადების სამოცდაათი წელი მიულოცეს თავიანთ კოლეგას, რესპუბლიკის დამსახურებულ პირველი კატეგორიის ექიმს, ომისა და შრომის ვეტერანს თამარ ჩაჩანიძეს.

საკუთარი ლექსები უძღვნეს და კეთილი სიტყვებითა და მოგონებებით მიესალმნენ კოლეგები: ქ. გოგია, მ. ლეგაშვილი, ა. ნიკოლაძე, თ. რაზმაძე, მ. ნებიერიძე და სხვები.

1943 წლიდან დიდი სამამულო ომის დამთავრებამდე, სულ ახალგაზრდა, სიფრიფანა გოგონა, მეომართა მხარდამხარ იყო და თავგანწირვით იბრძოდა დაჭრილთა გადასარჩენად. დასტურად ამისა მის არქივში შემონახული მრავალი ბარათიდან ერთერთს გადავხედოთ:

.....„როგორ არ უნდა მოვიხსენიოთ მადლობით ის ადამიანი, რომელიც, როგორც ავტომატი, ისე ასრულებს თავის მოვალეობას და ამით ასობით სიცოცხლეს იცავს დაღუპვისაგან.. ყველაფერი ის, რაც თქვენ გააკეთეთ, არასოდეს მიეცემა დავიწყებას“... რამიშკინი, ტატარინსკი, კოლოდკი.

ქალბატონი თამარი მოხსენებულია წიგნებში: ნ. ფაცურია „ომის ერთი დღე-1943-1944 წლებში“ და მ. კიკაბიძე „ვაჟკაცების მხარდამხარ“. მას მიღებული აქვს უამრავი სიგელი, იგი ორი ორდენის და ათი მედლის კავალერია.

მოკრძალებულმა, თავმდაბალმა და უსათნოესმა ქალბატონმა თამარმა დიდი მადლობა გადაუხადა ყველას მისი ესოდენ დაფასებისათვის და ახალგაზრდებს მიმართა: — ჩვენ, საბჭოთა ადამიანებმა კარგად ვიცით მშვიდობის ფასი, მშვიდობისა, რომელიც უდიდესი მსხვერპლის ფასად მოვიპოვეთ.

ახალგაზრდებო, გახსოვდეთ ყველა, ვინც თქვენი და თქვენი მომავლის გადასარჩენად გასწირა სიცოცხლე, პატივი მიაგეთ მათ ხსოვნას!

**მაია ჭანტურია**

## მე-6 ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 5. შაპიტი. 7. „მანანა“. 8. მერდინი. 9. იზმაილი. 10. დიქტი. 13. გორაო 15. ტაიგა. 17. სალოპი. 18. შაგალი. 19. იჯარა. 21. აბასი. 23. ირისი. 25. მასკანი. 27. ყაირათი. 28. სტუდია. 29. დილემა.

შვეულად: 1. ყაჯარი. 2. ხომლი. 3. გმირი. 4. ანდაზა. 6. იდეალი. 11. ქარაგმა. 12. ინდოეთი. 13 გრიგალი. 14. რეგლანი. 15. ტაიმი. 16. არშია. 20. ასკერი. 22. ბარიტი. 24. სუნამო. 25. მუყაო. 26. იზიდა.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, განყოფილებებისა: მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის — 93-25-64, ლიტერატურისა და ხელოვნების — 93-98-53, კულტურისა და ყოფაცხოვრების — 93-98-50, მშრომელთა წერილებისა და მასობრივი მუშაობის — 99-50-39, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. ტექნიკური რედაქტორის — 93-98-58. საერთო განყოფილების — 93-98-54. მასალები გადაეცა ასაწყობად 3. 06. 88 წ. ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 19. 07. 88 წ. ქაღალდის ზომა 60×90¹/₈, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,8. ტირაჟი 170.000. შეკვ. 1484. უე 04781. Условных печатных листов 3, учетно-издательских листов 58.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# მოდა





ეროვნული ბიბლიოთეკა